საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ოთხშაბათი, 8 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **500 მანეთი**. ცალკე ნომერი ყველგან **20 მანეთი**, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **20 მანეთი** მეოთხე გვერდზე **15 მანეთი**, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(10 × 2) 500 მანეთი**. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება **ერთობის ქ. № 4**, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 280 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 280

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმოკლულნი: მშობლები გიორგი სეფეს[illegible]ე და ნინა ებრაელიძენი, დაი ფაშუტია, ბებია ელისაბედი, მამიდები: გულჩინა, მატა და ოლია, სიძეები: სევასტი ხუნდაძე და ალექსანდრე ლომთათიძე, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად დაკარგულის მათი საყვარელის დაუვიწყარის

ტიტუშას

(გალაქტიონ) ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ხუთშაბათს 9 ამა დეკემბერს დღის 12 საათზე ქ. ლანჩხუთში გუმბარაულის წმინდა გიორგის ეკლესიაში. (3923—1—1)

თფილისის მაზრის მილიციის მოხელენი მწუხარებით აცხადებენ, რომ ამხანაგი

რაჟდენ ჯავახიშვილის

ცხედარი ჩამოსვენებული იქნება მანგლისიდან 7 დეკემბერს საღამოს, ხოლო 8 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, იქნება გადახდილი პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში, საიდანაც ნეშთი გაიტანება სადგურზე ქ. გორში გადასატანით (3922—1—1)

კომანდირი, ოფიცრები და ჯარისკაცები 1-ლი საარტილერიო დივიზიონისა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ლეიტენანტ

ივანე პეტრეს ძე წულუკიძის

გარდაცვალებას. (39916—2—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად

კარლ კაუცკის ახალი წიგნი

სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან

გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

წიგნი ღირს 70 მ. წიგნების შეძენა შეიძლება გაზ. „ერთობის“ კანტორაში.

მუშათა ორგანიზაციები რომლებიც თითონ წაიღებენ რედაქციიდან არა ნაკლებ ათი ცალისა წიგნი დაეთმობათ 20%.

მეორე რაიონული კოლექტივი იწვევს

დღეს საღამოს სრულ 6 საათზე მუშათა ცენტრალურ აუდიტორიაში (პლეხანოვის პროსპექტი) პარტიის წევრთა

საზოგადო კრებას

მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნოე ხომერიკი: მიმდინარე მომენტზე და მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე

(3912—1—1) რაიონული კოლექტ.

გზათა დეპარტამენტი

დამატებით ა. წ. ივნისის 4-ის განცხადებისა და მთავრობის ოქტომბრის 12-ის დადგენილებისა, ხელახლად აცხადებს, რომ, მიუხედავად ბაქოდან ნავთის მიღებისა, აკრძალულია

ნავთის ხმარება

ბინების, თორნეების, სამზარეულოების და სხვა ასეთ დაწესებულებათა გასათბობად და სთხოვს მომხმარებელთა, რათა არ მიმართონ აღნიშნულ საჭიროებისთვის ნავთის მიცემის შესახებ, ვინაიდან მათი თხოვნა დაკმაყოფილებული ვერ იქნება. ამიტომ მათ უნდა იზრუნონ სხვაგვარ სათბობის შეძენისთვის.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟინერი ჭიჭინაძე.

სათბობ მასალის განმანაწილებელ ბიუროს თავმჯდომარე ინჟ. მ. ოგანესოვი

(ნ. 1—1)

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების

წლიური კრება

დანიშნულია კვირას, დეკემბრის 12-ს, სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩ.), დილის 11 საათზე. კრების საგანი: 1. საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის წლიური ანგარიშები 1919 წლისა და სარევიზიო კომისიის აქტი; 2. ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წლისათვის; 3 მოხსენება ს. გორგაძისა — „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან (1850—1920 წ.წ.)“; 4. ახალ წევრების არჩევა.

(3915—1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

ხუთშაბათს, დეკემბრის 9-ს

პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური ტრაგედია

ბერდო-ზმანია

ალ. შანშიაშვილისა.

დეკორაციები და ტანისამოსი მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავისა. მუსიკა დ. არაყიშვილისა. ბალეტი და ხორო. დასაწყისი საღ. 8 ს. რეჟისორი ალ. ახმეტელი.

შაბათს, დეკემბრის 11-ს
მეორეჯერ
ბერდო-ზმანია

კვირას, დეკემბრის 12-ს
გვარდიის საღამო
(ნ. 2—1)

სახელმწიფო ოპერა

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს პირველად განახლება

ფრა-დიავოლო

ხუთშაბათს, 9 დეკემბერს პირველად განახლება ტოსკა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(ნ. 1—1)

სახელოსნო კლუბი

ორშაბათს—სინემატოგრაფი; სამშაბათს—ლექცია; ოთხშაბათს სომხური სპექტაკლი; ხუთშაბათს—სინემატოგრაფი; პარასკევს ქართული სპექტაკლი; შაბათს სომხური სპექტაკლი; კვირას სომხური სპექტაკლი. დასაწყისი საღამოს 8 საათ. ყოველ საღამოს 7—10 საათ. ღიაა სამკითხველო. სტუმრები საერთო წესით. მიღება საწევრო და საკანდიდატო გადასახადისა 1921 წლისათვის გრძელდება კანტორაში ა. წ. 20 დეკემბრამდე (საღამოს 7—10 საათ.) ვინც არ შემოიტანს მას მოექცევიან კლუბის წესდების 15 მუხლის თანახმად.

საქართველო და საბჭოთა სომხეთი

სომხეთში კომუნისტური წესების დამყარებით ახალი საკითხები დგება საქართველოს წინაშე. საქართველოსა და სომხეთის შორის არსებობდა ბევრი მტკივნეული სადავო საკითხები, რომლებმაც ერთ დროს ომამდისაც კი მიიყვანეს საქმე. ომის შეწყვეტამ სრულებითაც ვერ შეასუსტა ამ საკითხის სიმწვავე. მართალია, საერთო საფრთხე, რომელიც კარს ადგა ორივე სახელმწიფოს, ამ ბოლო ხანებში აიძულებდა მათს ხელმძღვანელებს დავის კილო ცოტათოდნათ შეერბილებინათ, მაგრამ ორივე მხარე კარგათ ხედავდა, რომ საკითხების დროებით გადადება არ ნიშნავს მათ საბოლოოთ გადაწყვეტას. ამ საკითხების სიმწვავე ყოველს წამს თავს აგრძნობინებდა, როგორც საქართველოს, ისე სომხეთს. დაშნაკცაკანურ სომხეთთან მორიგების სიძნელის გასაშუქებლათ საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ სომხეთის მთავრობამ საქართველოს მთავრობისადმი საპროტესტო ნოტების გზავნა არ შესწყვიტა მაშინაც კი, როდესაც ოსმალეთმა ნახევარი სომხეთი დაიპყრა, როდესაც სომხეთის ჯარმა მიატოვა მთელი რაიონი გუმბრიდან ბორჩალოს მაზრამდე დაწესებულ ნეიტრალურ ზონამდის და როდესაც საქართველოს ჯარებმა დაიკავეს ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი. ეჭვი არ არის, რომ დაშნაკურ სომხეთთან მორიგება ამ სადავო საკითხებში საქართველოსთვის დიდს სიძნელეს წარმოადგენდა.

სომხეთში საბჭოთა წესების გამოცხადებით ეს საკითხები სხვა სახეს ღებულობენ. საბჭოთა სომხეთს ჯერ-ჯერობით ოფიციალურად არც კი უცნობებია საქართველოსთვის თავისი დაბადება, მაშასადამე მას ჯერ ჯერობით ხმაც არ ამოუღია სადავო საკითხების შესახებ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან განვსაჯოთ, რა გზას უნდა დაადგეს იგი ამ საკითხებში, თუ კი არ მოინდომებს ულალატოს ლოღიკას, თუ კი მოისურვებს ანგარიში გაუწიოს იმ ხაზს, რომელიც ამორჩეული აქვს მის უფროსს მოკავშირეს და სულის ჩამდგმელს—საბჭოთა რუსეთს.

ამ უკანასკნელს მკაფიოდ აქვს გადაწყვეტილი საქართველო-სომხეთის თითქმის ყველა ის სადავო საკითხები, რომლებიც მათს სალზვრებს ეხება. საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებულ 7 მაისის ხელშეკრულობაში ნათქვამია, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს უდავო ტერიტორიად სცნობს **მთელს თფილისის გუბერნიას**, მაშასადამე სწორედ იმ ადგილებს, რომლების გარშემოც ყველაზე მწვავედ დავობდენ **საქართველო და სომხეთი**:—ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილს და ახალქალაქის მაზრას. საბჭოთა სომხეთმაც თავისი ურთიერთობა საქართველოსთან უნდა დაიწყოს სწორედ ამ ხელშეკრულობის ფარგლებში, თუ არ უნდა ჩავარდეს წინააღმდეგობაში საბჭოთა რუსეთთან. საბჭოთა რუსეთმა სწორედ ასეთი ტონი უნდა მისცეს თავის ახლად შობილს მოკავშირე—მიმდევარს, თუ არ უნდა, რომ საქართველოს დემოკრატიას ერთი საბუთი კიდევ მისცეს იმის საფიქრებლად, რომ საბჭოთა რუსეთის თვალში ყოველივე ხელშეკრულობა მხოლოდ „ქაღალდის ნაფხრეწია“. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ახლად შობილი საბჭოთა სომხეთი ვერც ერთს ნაბიჯს ვერ გადასდგამს საბჭოთა რუსეთის დაუკითხავად და უდასტუროდ. მით უმეტეს ვერ გადადგამს იგი ისეთს ნაბიჯს, რომელიც საბჭოთა რუსეთის პოლიტიკას ეწინააღმდეგება. მაშასადამე თუ მან საქართველოს აუტეხა დავა იმ საკითხების გარშემო, რომლებზედაც დაობდა დაშნაკური სომხეთი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ამ დავას გვიტეხს იგი საბჭოთა რუსეთის ლოცვა-კურთხევით, რომ საბჭოთა რუსეთი თავისთვის სავალდებულოდ არ სცნობს დარჩეს იმ ხელშეკრულობის ფარგლებში, რომელიც მან დასდო საქართველოსთან 7 მაისს.

პარტიული ორგანიზაცია და საარჩევნო ფონდი

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ პარტიის ყველა წევრმა გადაიხადოს ერთდროული გადასახადი საარჩევნო ფონდის საფუძვლის ჩასაყრელად. ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტი მიმართავს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რათა უკანასკნელებმა გააძლიერონ ორგანიზაციული მუშაობა და პარტიაში შეაკავშირონ ყველა სოციალ-დემოკრატიული ელემენტები.

ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებებს უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ამხანაგებმა.

ჩვენ გადავეჩვიეთ პარტიულ მუშაობას, ბევრს დაგვავიწყდა პარტია. მრავალი ამხანაგი მოღვაწეობს დღეს სხვა და სხვა დაწესებულებებში და პარტიასა და პარტიულ მუშაობასთან მჭიდრო კავშირი არ აქვთ.

განელდა წინანდელი ინტერესი და მოდუნდა ენერგია.

ამის ერთი გამოხატულებათაგანი ისიც არის, რომ პარტიული გადასახადი ორგანიზაციებში რეგულიარულად არ შემოდის და პარტია მატერიალურად დასუსტებულია. წინეთ ჩვენს პარტიას ახასიათებდა ორგანიზაციული სიმტკიცე და შედარებით ძლიერი მატერიალური ბაზა. იყო დრო (1904 წ.) როცა თფილისის კომიტეტის თვიური შემოსავალი 17—20 ათას მანეთამდე ადიოდა. თანამედროვე კურსით ეს ათეულ მილიონებს უდრის. ახლა არ იკითხავთ, რამდენი შემოსდის დღეს საწევრო გადასახადის სახით თფილისის კომიტეტს?

ეს არ აიხსნება მარტო პარტიის წევრთა დღევანდელი გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობით. ეს მდგომარეობა სახარბიელო არც წინეთ იყო. მაგრამ მაშინ ყველა ცდილობდა პარტიაში თავისი მცირე წვლილი შეეტანა.

დღეს სწორეთ ასეთი ცხოველი ინტერესი არ არის და უმთავრესი მიზეზი ესაა პარტიის ნივთიერი დასუსტებისა.

დღეს ჩვენს პარტიას უფრო დიდი და რთული სამუშაო აქვს, ვინემ ოდესმე ქონდა. ამიტომ მას ახლა მეტი სიძლიერე და სიმტკიცე ეჭირვება, ვინემ წინეთ.

მთელი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრება მის საქმიანობაზეა დამყარებული.

პარტია ფხიზელ დარაჯათ უნდა ედგეს ქვეყანას, მისი თვალი და გონება ყველაფერს უნდა წვდებოდეს.

ამისთვის, სხვათა შორის, საჭიროა ნივთიერი სახსარი, ხოლო ეს სახსარი უმთავრესად უნდა დგებოდეს პარტიის წევრთა გროშებისაგან. მართალია, პარტიის წევრთა 99% ღარიბებია, მაგრამ ჩვენ ბევრი ვართ და თუ ყველა დავინტერესდებით პარტიის ბედ-იღბალით და თვითეული ჩვენგანი მცირე მსხვერპლს არ გაექცევა—დიდი თანხა შესდგება.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა თვითეულმა პარტიის წევრმა ეხლავე გადაიხადოს ასი მანეთი საარჩევნო ფონდის დასაარსებლად და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შეგროვილი ფული ცენტრს უნდა გადმოუგზავნონ. ასი მანეთის გადახდა პარტიის ყველა წევრისათვის სავალდებულოა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვისაც მეტის გაღება შეუძლია, სავალდებულო ნორმით არ უნდა განსაზღვროს თავისი მონაწილეობა ამ საქმეში. უნდა გაიმართოს ფართო კამპანია ნებაყოფლობითი შემოწირულების შესაგროვებლად. ამხ. ვ. ჯუღელის მოწოდებამ ფართო გამოძახილი უნდა ჰპოვოს ჩვენს წრეებში.

ჩვენ წინ გვიდგას დიდი პოლიტიკური კამპანიები. მალე უნდა მოხდეს არჩევნები ქალაქებსა და სოფლებში. კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ ადგილი უნდა დაუთმოს პარლამენტს. გარდა ამისა, პარტიამ უნდა აწარმოოს ყოველ დღიური მუშაობა, რაც დიდ ხარჯს მოითხოვს.

ამიტომ გვმართებს სერიოზულად მოვეპყრათ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას.

მაგრამ პარტია დღეს კოჭლობს არა მარტო მატერიალურ საკითხებში, მას ემჩნევა აგრეთვე ორგანიზაციული სისუსტე.

და აი, ცენტრალური კომიტეტი ადგენს. ყველა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პარტიულ ძალთა დარაზმვას. მრავალი ამხანაგი პარტიის გარეშე დგანან როგორც ფორმალურად, ისე ფაქტიურად. არ არიან ჩაწერილი ორგანიზაციაში, არ ესწრებიან პარტიულ კრებებს, პირდაპირ არ უწევენ პარტიას მატერიალურ და მორალურ დახმარებას. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია.

ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: ყველა სოციალ-დემოკრატიული ძალა პარტიაში!

პარტიულ ცხოვრებისა და ბრძოლის გარეშე არავინ უნდა დარჩეს.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა თავისი წრიდან დაუყონებლივ უნდა გამოყონ კომისიები წევრთა რეგისტრაციის მოსაწყობად და საერთოდ ორგანიზაციული მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

დროა, მუშაობას შევუდგეთ და პარტიული პატრიოტიზმით გაიმსჭვალოს ყველა წევრი—დიდიან პატარიანად.

ხალხმა და ისტორიამ ჩვენს პარტიას უდიდესი მოვალეობა დააკისრა: ის არის დღეს ქვეყნის ფაქტიური ხელმძღვანელი; მისი სიმტკიცე და სიძლიერე ქვეყნის სიმტკიცე და სიძლიერეა, მისი დამარცხება რესპუბლიკის და დემოკრატიის დამარცხება იქნება.

მით უფრო ვალდებულია ყველა პარტიის წევრი, ყველა სოციალ-დემოკრატი გვერდში ამოუდგეს ხელმძღვანელ ორგანიზაციებს.

გავაძლიეროთ პარტია მის მუშაობაში პირადი მონაწილეობით და მატერიალური დახმარებით!

ვინ წავა კანოსაში?

საშუალო საუკუნოებში, როდესაც კუდიანებს სდევნიდენ და შინაურ და გარეულ საქონელს მოწმებად ასახელებდენ სასამართლოში, ხოლო სწავლულები და მეცნიერები—კოცონზედ აჰყავდათ, მოხდა ერთი საყურადღებო გარემოება: რომის იმპერატორს ჰენრიხ მეოთხეს რომის პაპამ გრიგოლ მეშვიდემ აუჯანყა ვასალები და გაიმართა ბრძოლა საერო და სასულიერო ხელის-უფლებათა შორის. ამ ბრძოლაში ჰენრიხ მეოთხე დამარცხდა და ფეხ-შიშველი, დაფლეთილ ტანისამოსიანი, კისერზედ თოკ-ჩამოკიდებული გამოცხადდა გრაფინია მატილდას მშვენიერ კოშკში სადაც ცხოვრობდა რომის პაპა გრიგოლ მეშვიდე. სამი დღის ლოდინის შემდეგ დერეფანში ჰენრიხ მეოთხეს შეუნდვეს ცოდვები. მისი კანოსაში (ეს გრაფინია მატილდას ქალაქი იყო) წასვლით საერო ძალა-უფლების წარმომადგენელი დამარცხდა.

გავიდა რამოდენიმე საუკუნე. გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოჩნდა მაგარი ხასიათის ადამიანი—ეს იყო რკინის კანცლერი ბისმარკი. რომის პაპა ჩაერია მის განკარგულებებში. ეს ვერ მოითმინა ბისმარკმა და კატეგორიულად განაცხადა: „ჩვენ კანოსაში არ წავალთო“.

გავიდა კიდევ რამოდენიმე ათეული წლიწადი და გერმანიის პრეზიდენტად არჩეული იყო მუშა ებერტი. ამ პრეზიდენტს უსათუოდ დავიწყებული აქვს არსებობს თუ არა რომის პაპა. ეს დაემართა უდიდეს ეკლესიის-წარმომადგენელს, რომელსაც დიდი ისტორია აქვს და რომლის წიაღიდან გამოსულა არა ერთი და ორი დიდებული მოაზროვნე. დღეს ევროპაში კანოსის ისტორია სიცილს იწვევს და ის დიდ პოეტის ჰეინეს დაუნდობელი სარკაზმის სარკაზმი გამხდარა საინტერესო ერთი გარემოება. კარლ მარქსის სიტყვებით ეკლესიის წარმომადგენლები სრულებით გულგრილად დაუშვებენ ყველა დოგმატების დარღვევას, მაგრამ ვერ მოითმენენ და ილანდებიან თუ ქონებას კითხვა დაისვა. **საქართველოს სამღვდელოების ნაწილის** წარმომადგენლები სრულიად უკანონოდ და მოურიდებლად ყიდიან ერის ქონებას. ეკლესიის ნივთები ამ ფარისევლებს ბაზარზედ გამოაქვთ და როდესაც მათ ამის ნებას არ აძლევენ, ისინი შეურაცხყოფას აყენებენ რესპუბლიკის მთავრობას. კარგი დრო შეურჩევიათ ამ ბატონებს თავისი გამოსვლებისთვის! იმის მაგიერ, რომ თავისი ნებით გადაეცათ სამხედრო ფონდისთვის ზედ-მეტი ქონება, მოეწოდებიათ სხვებისთვის, რომ გაემაგრებიათ სახელმწიფოს ხაზინა, ეს ბატონები მთავრობის წინააღმდეგ უდიერ გამოსვლებს ახდენენ და ქონებას სპეკულიანტებს აძლევენ.

საშუალო საუკუნოები დიდი ხანია ისტორიის ჩაბარდა. ჩვენს ფარისევლებს დაუსვამთ კითხვა: ვინ წავა კანოსაში?

საქართველოს რესპუბლიკაში ისინი ვერ მოსძებნიან გრაფინია მატილდას კოშკებს, ხოლო რესპუბლიკის მთავრობა მათ კანონიერების გზაზედ დააყენებს—ეს გზა იქნება კანოსისკენ.

ბ. თეკლათელი.

პრესა

ჩვენი ბოლშევიკები შეუდგენ კამპანიას მოწინავე მუშების წინააღმდეგ. მათ კარგათ იციან, რომ შეგნებული მუშები ბოლშევიკების დემაგოგიას არ აყვებიან. ამიტომ დაიწყეს ინტრიგებით და მიკიბულ-მოკიბული ბრალდებებით. გამოხტუნეს პრესაში გ. ბარონი საეჭვო ღირსების არგუმენტებით. მაგრამ იციან, რომ ეს არ კმარა და ასეთი დაბალი დემაგოგიით ბევრს ვერ მოატყუებენ.

ამიტომ ცდილობენ „მეცნიერულად“ დაასაბუთონ მუშათა შეგნებული ელემენტების წინააღმდეგ ამხედრება. თურმე ნუ იტყვით, მუშათა კლასის ერთი უდიდესი მტერი პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყოფილან, რომლებიც

„თავს დასწოლიან მთელ კლასს და უდიდეს იდეურ ზნეობრივ ზეგავლენას ახდენენ მასზე. ეს არის, ევროპის მაშტაბით რომ ავიღოთ, ის სოციალური წრე, რომელიც წარმოადგენს მეორე ინტერნაციონალის დასაყრდნობ ძალას, რომელიც უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს პროლეტარიატის განთავისუფლების საქმისათვის“.

აქედან ცხადია, მთელი ენერგია მოწინავე ელემენტებთან ბრძოლას უნდა მოხმარდეს, მათი გავლენა უნდა დასცენ ბოლშევიკებმა მუშათა მასის ფართო წრეებში.

„ბურჟუაზიის მიერ „მოსყიდული“ ელემენტების“ მორჯულებაზე არ უნდა დაიხარჯოს ძვირფასი ენერგია რომელიც მთლად უნდა იქნეს მიმართული პროლეტარიატის ძალების ამოძრავებისა, გათვითცნობიერებისა და შეკავშირებაზე“.

ასე სწერს „კომუნისტი“.

ასე მსჯელობდენ ბოლშევიკები რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების წინ. მაგრამ როცა ძალა უფლება ჩაიგდეს ხელში, როცა საფუძვლიანათ დაანგრიეს წარმოება, გაანადგურეს ქვეყანა, გააღატაკეს ხალხი, მიუბრუნდენ ამ „ძირებს“, რომელსაც ჩვენში ახლა ალმერთებენ და დაუწესეს მათ სავალდებულო კატორღული შრომა, მოუსპეს გაფიცვის თავისუფლება და გააბატონეს წითელ არმიელთა ხიშტი და ძალმომრეობა.

ქართული კომუნისტი მოსთქვამს „პროფესიონალურ, პარტიულ და კოოპერატიულ“ ბიუროკრატიაზე ჩვენში, მაგრამ ერთი ვკითხოთ ამ ჭკვიან ხალხს რუსეთში ვინღაა გაბატონებული იქაურ პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში? იქ, თვით რუსეთის კომუნისტური პრესის მოწმობით გაბატონდა მთელ ხალხზე და კერძოთ მუშებზე ერთი მუჭა მოსამსახურეები, ეს მათივე ტერმინოლოგიით „საბჭოთა ბურჟუაზია“, რომლის ბოროტ-მოქმედებას, ძალმომრეობას და ზნეობრივ დაცემას საზღვარი არ აქვს.

ნუ თუ ასეთი წესის დასამყარებლად იბრძვიან ჩვენში ქართველი ბოლშევიკები? ნუ თუ მათ გონიათ, რომ ქართველ მუშებს დემაგოგიით და მოწინავე ელემენტებზე ინსინუაციების გავრცელებით აუხვევენ თვალს და დაუბნელებენ გონებას?

ტყუილი ფიქრია!

ვის ფულებით არსებობენ?

ქართველი კომუნისტები დიდ ამბავში არიან. მუშათა კლასის სახელოვან ბელადებს ისინი ბურჟუაზიის ლაქიებსა და მოსყიდულებს უწოდებენ.

რას აკეთებენ თითონ ისინი? ვის ან რას იცავენ?

ჩვენ ვიცით, რომ ქართველი კომუნისტების სანატრელი საქმე საქართველოში უცხო ძალების შემოყვანაა. მათ

დღეს

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა რუსეთის ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ლიონის ცნობით ლონდონის კონფერენციაზე მოკავშირე სახელმწიფოთა შორის მოხდა სრული შეთანხმება.

ვრანგელი წინადადებას აძლევს საფრანგეთს, რათა მისი ჯარი, რომელიც 70 ათასი კაცისაგან შედგება, გამოყენებულ იქნას მოკავშირეთა მიერ.

არგენტინის დელეგაციამ უარი განაცხადა ერთა ლიგის სხდომებში მონაწილეობაზე, ვინაიდან ლიგამ უარყო ხსენებული დელეგაციის ზოგიერთი შესწორებანი.

არა ერთხელ და ორხელ მოაწყვეს აჯანყება; როცა საქართველოს რესპუბლიკა და მისი ხალხი მტრებს ებრძოდა, ისინი ზურგში მახვილს გვცემდენ ამ ბოლო ხანს თითქო იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ ნიადაგზე მუშაობა დაიწყეს, შესაფერი იარლიყიც კი გამონახეს. მარა ეს სიტყვით. საქმით კი სულ სხვას ვხედავთ. ისინი დღესაც ისევე ერთგულათ აბამენ ჩვენში შეთქმულობისა და გამცემლობის ქსელს, როგორც წინეთ.

ამ მუშაობაში ისე წათამამდენ, რომ აღარც კი მალავენ, ან უკეთ ვეღარც კი მალავენ; რომ ისინი უცხო ძალების მოყიდულები არიან და აქ მათ სამსახურს ეწევიან.

თფილისში გამოდის მათი ორი გაზეთი: ქართული და რუსული „კომუნისტი“.

როცა სხვა გაზეთები 20—30 მანეთი ღირს, „კომუნისტი“ 10 მანეთად იყიდება.

რაშია საქმე?

დღეს ოცი მანეთი მარტო გაზეთის ქაღალდი ღირს. როგორ ახერხებს, „კომუნისტი“ 10 მანეთად გაიყიდოს და ხარჯები დაფაროს?

შეიძლება მათი ორგანიზაცია ისეთი ძლიერი, რომ მისი შემოსავლით იფარება გაზეთების დეფიციტი?

არაფერი ამის მსგავსი!

კომუნისტების ორგანიზაცია ჩვენში სუსტია და მათ მიმდევართა რიცხვი მეტად მცირე.

მაშ საიდან ღებულობს კომუნისტი ნივთიერ საშუალებას?

წაიკითხეთ გაზეთებში გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა ბოლშევიკებისა და თქვენ მიაგნებთ ფულის წყაროს. რუსეთიდან მოდის ის მილიონები, რომლებიც ეძლევა კომუნისტურ ორგანოებსა და დაწესებულებებს. აქედან ღებულობენ არსებობის საშუალებას „ახალგაზდა“ და ხაზში შესული კომუნისტები, მათი მიმდევრები, მათი პრესა. ბოლშევიკები ჩვენში გამოდიან უცხოელების დაქირავებულ აგენტებათ, მათი პრესა მოსყიდული პრესაა. და ამის შემდეგ რუსულ-ქართული „კომუნისტი“ კიდევ ბედავს სხვის სიფაქიზეზე ილაპარაკოს და სწეროს!

დამშეული და დარბეული რუსის ხალხის ხარჯზე ქართველი ბოლშევიკები იაფ-ფასიან გაზეთებს სცემენ.

აქ ერთი კითხვა იბადება: რატომ ეძლევათ მათ ამის ნება? დასაშვებია განა, რომ რესპუბლიკის მოქალაქემ უცხოეთის ფულით ყოველ ცისმარა დღეს აგიტაცია სწიოს დემოკრატიული წყობილების დასამხობათ და საბჭოთა სისტემის სადიდებლათ? იმ საბჭოთა სისტემის, რომელმაც დააქცია და მიწასთან გაასწორა უდიდესი და უმდიდრესი რუსეთი? ამბობენ, რომ რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ძალით ბოლშევიკებს აგიტაციის თავისუფლება აქვთ მინიჭებული.

მარა აგიტაციის თავისუფლება და არა მოყიდვის, სიტყვის თავისუფლება და არა გამცემლობა, შეთქმულების მოწყობა, აჯანყებები და სხვ!

განა შესაძლებელია, რომ უცხოეთის ფულებით ყველას თვალწინ ეწეოდენ სახელმწიფოს დამღუპველ მუშაობას?

იმავე ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი ყოველ პირობის გარეშე აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას და უარს ამბობს მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

როგორ შეუთანხმოთ ამას მილიონობით სუბსიდიები გაზეთებს, ორგანიზაციებს, შეთქმულებებს? ბ.ბ. კომუნისტებო! გვიხსენით გასაგებათ, საიდან ღებულობთ ამდენ ფულებს?

როგორ არის, რომ თქვენი გაზეთი 25—30 მანეთი ჯდება ცალი და თქვენ კი მას 10 მანეთად ყიდით?

მოგვიყევით დალაგებით „ბნელი ფულების“ ისტორია!

ი.

დამფუძნებელი კრება

8 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარე ს. მდივანი.

მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას განცხადება.

მოქალაქენო, მე მაქვს პატარა განცხადება იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შევიტანეთ ჩვენს მთავრობაში. ეს ცვლილება უპირველესად ყოვლისა ეხება იმას, რომ ჩვენ დავაარსეთ განათლების სამინისტრო, როგორც ცალკე სამინისტრო, აქამდე კი, როგორც იცით, განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროები შეერთებული იყო. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ განათლების სამინისტროს მიეცეთ უფრო ფართო ხასიათი, ვიდრე იყო აქამდე. აქ იქნება, როგორც განათლების, ხელოვნების, ისე კულტის, რელიგიის საქმე და ჩვენ გვინდა ამ სამინისტროს დაუკავშიროთ ყველა კულტურული და განმანათლებელი სექციები.

დანარჩენი სამინისტროები რჩებიან ისე, როგორც იყო. განათლების მინისტრად მე მოვიწვიე გრ. ლორთქიფანიძე. სამხედრო მინისტრად პარმენ ჭიჭინაძე, ხოლო ნაცვლად ნ. ხომერიკისა, რომელმაც დასტოვა თავის სამინისტრო, მოვიწვიე დავით ონიაშვილი.

გარდა ამისა მე დავინახე საჭიროდ შემექნა ერთი მუდმივი თანამდებობა. მთავრობის თავმჯდომარეს, როგორც იცით არ ჰყავდა არც ამხანაგი და არც მუდმივი მოადგილე. მართალია, მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდა მოადგილე, მაგრამ ეს მოადგილე მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობას მხოლოდ მაშინ ასრულებდა, როცა მთავრობის თავმჯდომარე თფილისში არ იმყოფებოდა.

ამ ბოლო დროს მთავრობის თავმჯდომარის საქმეები მეტად გაიზარდა და უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამ საქმეებს ვერ ვასწრებ; რომ ეს რთული საქმეები მოგვარდეს, აუცილებლათ საჭიროა მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდეს მუდმივი მოადგილე, რომელიც ეწევა მუდმივ მუშაობას მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად. აი ასეთი თანამდებობის დაწესება აუცილებლად საჭიროდ მიმაჩნია. ეს გააუმჯობესებს და გააკეთებს ჩვენს საქმეებს. ასეთ პირად მე დავასახელე გრ. ლორთქიფანიძე, ე. ი. განათლების მინისტრი იქნება იმავე დროს მთავრობის თავმჯდომარის მუდმივი მოადგილეც აი ეს არის ჩემი განცხადება.

მსჯელობა მთავრობის განცხადების შესახებ დამფ. კრებამ გადასდო შემდეგი პარასკევის სხდომისათვის.

ქრ. შარაშიძის ასულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონისა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ.

გ. თევზაია მოახსენებს კრებას კანონპროექტს არტაანის ოლქის ადმინისტრაცია—მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არტაანის ოლქში ჩვენი ადმინისტრაცია მოქმედობს იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც შეიმუშავა განსაკუთრებულმა რწმუნებულმა. აქამდე ამ ოლქის ადმინისტრაციის ჯამაგირი ეძლეოდა განსაკუთრებული ფონდიდან. ამ კანონპროექტში კი აღნიშნულია ადმინისტრაცია—მილიციის შტატები და ხარჯთ აღრიცხვა, რომელიც კომისიამ მიიღო და შუამდგომლობს დამფუძნებელი კრების წინაშე რომ ის მიღებულ იქმნას.

გრ. რცხილაძე. (ს. ფ.) აღნიშნავს, რომ არტაანის ოლქში ჩვენი ადმინისტრაცია არსებობს განსაკუთრებული წესით. ჩვენი კანონი ადგილობრივი მმართველობის და თვითმართველობის შესახებ იქ არ არის გატარებული. ადმინისტრაცია კი იქ არსებობს. იბადება საკითხი: რა უფლებრივ ნიადაგზე ემყარება არტაანის ოლქის ადმინისტრაცია? მე ვეძიე კანონი, მაგრამ ასეთი კანონი ვერ ვნახე ამიტომ დამფუძნებელმა კრებამ ეს შტატები უნდა დაამტკიცოს, მაგრამ სამინისტრომ იმ ოლქში ან უნდა გაატაროს კანონი ადგილობრივ მმართველობის და თვით-მართველობის შესახებ ან და განსაკუთრებული წესები შეიმუშაოს და დამფუძნებელ კრებას წარმოუდგინოს განსახილველად.

გ. თევზაია. (მომხსენებელი) უპასუხებს რცხილაძეს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ყველგან არ არის მოწყობილი ადგილობრივი თვით მართველობა. არის ისეთი ადგილები, სადაც თემები დღესაც არ არის მოწყობილი არტაანის ოლქი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები ჯერ არც იქ არის მოწყობილი. უნდა განვაცხადო, ბ. გრ. რცხილაძეს საყურადღებოდ, რომ იმ ადგილებში, სადაც ადგილობრივი თვითმართველობა არ არის მოწყობილი, მოქმედებენ რუსეთის ძველი კანონების მიხედვით. ამ მხრივ უფლებრივად ასეთ ადგილებში ადმინისტრაციის მოქმედება აშენებულია ჩვენში მოქმედ კანონებზე. საზოგადო მსჯელობა ამით გათავდა. მუხლობრივი განხილვა კანონპროექტისა მოხდება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

1 დეკემბრის სხდომა.

ს. დადიანის სიტყვა

სოც.-ფედერალისტთა ფრაქცია იზიარებს იმ ზოგად დებულებებს, რომელზედაც აშენებულია წარმოდგენილი პროექტი კონსტიტუციისა. სახელმწიფო ყოველთვის იყო იარაღათ კლასობრივ ბატონობისა, ჩვენ გვინდა, რომ ბატონობის იარაღი გამოვსტაცოთ ხელიდან ბურჟუაზიას და გამოვიყენოთ იმ იდეალებისათვის, რომლისაკენაც მიისწრაფის ხალხის უმრავლესობა, მშრომელი კლასი.

კონსტიტუცია არის გამოხატვა იმისა თუ რა გავლენა აქვს ამა თუ იმ კლასს სახელმწიფოში. ხალხის სურვილების განსახორციელებლად ორი ფორმა არის სახელმწიფოებრივი წყობილებისა; ერთი არის დამყარებული უშუალო, უშუალო დემოკრატიზმის თვალსაზრისზე და მეორე—წარმომადგენლობით სისტემაზე. შვეიცარიის კანტონებში არის განხორციელებული უშუალო დემოკრატია. ეს გამოიხატება იმაში, რომ ხალხი თვით ახორციელებს კანონმდებლობით უფლებას. მაგრამ უშუალო დემოკრატიზმის გატარებას ბევრი ტეხნიკური პირობები ეღობება წინ და ამიტომ ეძებენ კომპრომისს პარლამენტარიზმისა და უშუალო დემოკრატიზმს შორის. ასეთი არის მაგ. რეფერენდუმის და ინიციატივის უფლება. უმთავრესი კრიტიკა წმინდა პარლამენტარიზმის წინააღმდეგ იმაში გამოიხატება, რომ ხალხს არ აქვს უფლება თვითონ მიიღოს მონაწილეობა კანონ-მდებლობაში. ხალხი მხოლოდ ერთხელ კანონ მდებლობს 5—7 წლის განმავლობაში და ეს მხოლოდ მაშინ, როცა არჩევნები ხდება. ეს კრიტიკა პარლამენტარიზმის წინააღმდეგ ჩვენ დადებითად მიგვაჩნია. მუდმივ უნდა იქმნას ზედამხედველობა და კონტროლი ხალხისა კანონმდებლობაში. ეს კი შეიძლება განხორციელდეს რეფერენდუმის და ინიციატივის საშუალებით.

ჩვენი კონსტიტუციით ხელის-უფლება ასე არის განსაზღვრული: პარლამენტი, მთავრობა და სასამართლო, მაგრამ ასეთი დანაწილება ხელის უფლების ყოვლად მიუღებელია. იქ, სადაც ერთნაირი დამორჩილება, სუბორდინაცია არის ხელის-უფლებათა, იქ, სადაც არსებობს პასუხისმგებლობა კაბინეტისა, მთავრობისა ხალხის წინაშე, იქ შეუძლებელია ვილაპარაკოთ ხელის უფლების დანაწილებაზე ისე, როგორც ეს მონტესკიეს ესმოდა. აქ აღსანიშნავია ერთი უარყოფითი მხარე წმინდა პარლამენტარიზმისა. იქ, სადაც რეფერენდუმი არ არის, მთელი სუვერენობა ეკუთვნის პარლამენტს. ამიტომ ამბობენ, რომ პარლამენტი გამოუყენებელი და მიუღებელი არის მშრომელი კლასისთვის, იგი არის იარაღი ბურჟუაზიის ბატონობისა. მაგრამ ეს შეხედულება არ არის სწორი. პარლამენტარიზმით სარგებლობს ბურჟუაზია, მაგრამ პარლამენტარიზმის ჩანასახი არსებობდა ძველად, ბურჟუაზიის წარმოშობამდე და თუ აქამდე ბურჟუაზია იყენებდა პარლამენტს თავისი მიზნების იარაღად, განა გამარჯვებულ მუშათა კლასს კი არ შეუძლიან გამოიყენოს?

რაც შეეხება იმ მუხლებს კონსტიტუციისა, რომელშიაც აღნიშნულია უპრეზიდენტობა, ეს ჩვენ დადებით მხარედ მიგვაჩნია და სასურველი იქნება თუ ამ მხრივ შევადგენთ კონსტიტუციას. ჩვენ მოვისმინეთ ორი აზრი პრეზიდენტობის შესახებ: ერთი—გვაზავასი და მეორე ნ. ჟორდანიასი. მე არ გამიკვირდა გვაზავას მიერ პრეზიდენტობის მოთხოვნა, მაგრამ გამიკვირდა ნოე ჟორდანიას ზოგიერთი გაუბედავი მოთხოვნილებანი პრეზიდენტობის პრინციპებისა. ჩვენის აზრით პრეზიდენტობის შემოღება იქ, სადაც სუვერენობა ეკუთვნის ხალხს, ყოვლად მიუღებელია.

აქ ამბობენ: პრეზიდენტობას იმიტომ მოვითხოვთ, რომ ჩვენ გვინდა ავაშენოთ უძლიერესი ძლიერი სახელმწიფო. ეს უცნაური დებულება არის. იქ, სადაც ხალხის ბატონობა არის განმტკიცებული, იქ, ერთი პიროვნების სასწაულთ-მოქმედება არ უნდა გვწამდეს. ჩვენი ძლიერება არ უნდა იყოს დამოკიდებული ამ ერთს პიროვნებაზე. ჩვენ არ უნდა გვწამდეს ეს მით უმეტეს მაშინ, როცა ამ კონსტიტუციაში ვამბობთ, რომ უმაღლესი და უზენაესი უფლება ეკუთვნის ხალხს. იქ სადაც ხალხი არის გამგე თავისი ბედ იღბლისა და მესვეური თვისი სახელმწიფოსი. შეუძლებელია აგრეთვე, რომ ჯარი დაუქვემდებაროთ პრეზიდენტს. ჯარი ისეთი იარაღია, ისეთი ძალა არის, რომ ადვილად შეიძლება მისი უზურპაციის მიზნით გამოყენება.

გარანტია იმისა, რომ კონსტიტუციის საწინააღმდეგო კანონები არ გამოიცეს პარლამენტის მიერ, არის რეფერენდუმის და ინიციატივის უფლება, რომელიც ხალხს უნდა ჰქონდეს მინიჭებული ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით. ეს ხალხი იქნება დარაჯი ამ კონსტიტუციის დაცვისა და მას, დარაზმულს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საშუალება ექნება შეაჩეროს ეს თუ ის კანონი, რომელიც კონსტიტუციის საწინააღმდეგო იქნება...

სიგვიანისა გამო სხდომა დაიხურა და ორატორს უფლება მიეცა შემდეგ სხდომაზე,— 8 დეკემბერს—დაამთავროს თავისი სიტყვა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

7 დეკემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 6 დეკემბ. მდგომარეობა ფრონტებზე უცვლელია.

საბჭოთა რუსეთი და სხვა ქვეყნები.

საბჭოთა რუსეთის მშრომელმა ხალხმა დაამარცხა უკანასკნელი მტერი ბალახოვიჩი. ფრონტებზე სიმშვიდეა. მართალია, ჩვენ უნდა ვიდგეთ კვლავ სადარაჯოზე, ვინაიდან გარს შემორტყმული ვართ ბურჟუაზიული ქვეყნებით, მაგრამ დასვენების დრო მაინც მოგვეცა. დასავლეთის ქვეყნები ემზადებიან საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების აღსადგენათ ინგლისისა და ამერიკას [illegible] სხვა ქვეყნებმაც. იტალიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დამოკიდებულება მოკლე ხანში განახლდება. პოლონეთი, ლატვია და ფინეთი ადგენენ კომისიებს, რომლებმაც დაუყონებლივ უნდა მოაწესრიგონ საკითხი საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა. გერმანიაში დაარსდა საგანგებო საზოგადოება, რომლის მიზანსაც შეადგენს რუსეთისა და გერმანიის შორის სავაჭრო დამოკიდებულების გაადვილება. საქონლის გაცვლა-გამოცვლას დასავლეთ ევროპასთან მაშინ შეუძლია მოუტანოს საბჭოთა რუსეთს დადებითი შედეგები, თუ რუსეთში აღდგება მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შემოგვეკლევა სავაჭრო ფონდი და საზღვარ გარეთ გასატანათ არაფერი არ დაგვრჩება.

მახნო.

ხარკოვის საქალაქო საბჭოს სხდომაზე უკრაინის სახალხო კომისართა თავმჯდომარე რაკოვსკიმ გააკეთა მოხსენება მახნოს დამარცხების შესახებ. ნოემბრის 25 წითელმა ჯარებმა დაიწყეს მოქმედება მახნოს წინააღმდეგ. ჩვენ შევსძელით შემოვრტყმოდით გარშემო მახნოს ყირიმის ჯგუფის ნაწილებს. ბანდიტების ლიკვიდაცია სრულდება. სრულიად განადგურებულია მახნოს გულიაი-პოლეს ჯგუფი. რამოდენიმე ასეული თვით მახნოს მეთაურობით მიიმალა. ამ ბანდიტების ჯგუფის ლიკვიდაციაც მალე მოხდება.

პეტლიურას ბედი.

პოლონეთის მთავრობამ პეტლიურა და მისი მთავრობის წევრები სამოქალაქო ტყვეებათ გამოაცხადა.

ვრანგელის წინადადება.

ვრანგელმა აცნობა საფრანგეთის მთავრობას პარიზში მისვლის სურვილის შესახებ. ვრანგელს განზრახული აქვს მოელაპარაკოს საფრანგეთის მთავრობას იმის შესახებ, რომ მისი ჯარი, რომელიც 70,000 კაცისაგან შედგება, იქნეს გამოყენებული მოკავშირეთა მიერ.

ლიონის ცნობები

კონფერენცია ლონდონში.

ლონდონში ეხლახან დასრულებულმა კონფერენციამ საგრძნობი შედეგები მოიტანა. საკმარისი იყო რვა დღე, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის და განსაკუთრებით ინგლისისა და საფრანგეთს შორის მომხდარიყო სრული შეთანხმება იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიიღოს ანტანტამ წინააღმდეგ საბერძნეთში შექმნილ ახალ მდგომარეობისა. შეიძლება ვთქვათ, რომ საფრანგეთის და ინგლისის შორის უკანასკნელ კვირის განმავლობაში მეგობრული მდგომარეობა განმტკიცდება.

კონფლიქტი ფიუმეში.

იტალიის დეპუტატების ჯგუფი გაემგზავრა ფიუმეში კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. იტალიის პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ კონფლიქტი მალე ამორებულ იქნება თავიდან.

ერთა ლიგაში.

არგენტინის დელეგაციის თავმჯდომარე შაბათს ერთა ლიგის ყრილობის თავმჯდომარეს გადასცა წერილი, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ არგენტინის დელეგაცია უარს ამბობს ერთა ლიგის კრებაში მონაწილეობის მიღებაზე. ასეთი გადაწყვეტილებას დელეგაცია ასაბუთებს მით, რომ ლიგამ უარყო ზოგიერთი შესწორებანი, რომელიც შეიტანა არგენტინის დელეგაციამ.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

7 დეკემბერი.

სიძვირის გამო.

ბერლინი. ბერლინის პრესა იუწყება: რესტორანებში გამეფებულ მეტი-მეტ სიძვირის გამო საზოგადოება საღამოებს ატარებს თეატრებში და წარმოდგენის დროს განუწყვეტლივ საჭმელს მიირთმევს. ვაგნერის შესრულების დროს თეატრში ისმის ქაღალდის შრიალი; საზოგადოებას ხელში უჭირავს კარტოფილი, ძეხვები და სხვ.

ინგლისი და რუსეთი.

პარიზი. „ტანი“ აქვეყნებს ლონდონიდან მიღებულ დეპეშას, სადაც აღნიშნულია, რომ ბრიტანეთის მთავრობისადმი მიმართული მოსკოვის საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი ნოტა მეტად მკაცრი კილოთი არის შედგენილი. საბჭოთა მთავრობა ბრალსა სდებს ინგლისს იმაში, რომ იგი ეწინააღმდეგება რუსეთთან კომერციულ დამოკიდებულების აღდგენის საკითხს და, რომ იგი აგრესიულ გეგმებს ადგენს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ნოტის კილოს დიპლომატიურ წრეებში მეტის-მეტად თავხედურათ სთვლიან და ამას ხსნიან იმ მოსაზრებით, რომ მოსკოვს სურს მოლაპარაკება შესწყვიტოს ინგლისის მთავრობასთან. „ტაიმსს“ შესაძლებლად მიაჩნია, რომ ლენინი განგებ აკავებს რუსეთში მყოფ ინგლისელ ტყვეებს.

ერთა ლიგა და გერმანია

ლონდონი. რობერტ სესილმა ერთა ლიგაში სხვადასხვა სახელმწიფოთა მიღების შესახებ სთქვა: ეს საკითხი ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხს.

ოსმალეთის გარშემო.

პარიზი. „ინფორმაციონი“ იუწყება: ამ დღეებში შესდგება მოკავშირეთა თათბირი ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულების გადათვალიერების საკითხის განსახილველად. ფიქრობენ საზავო ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილების ცხოვრებაში დაუყონებლივ გატარებას.

ბოლშევიზმი ახლო აღმოსავლეთში.

ლონდონი. „ნიუ იორკი“ სწერს: რუსეთის ბოლშევიზმმა წააგო რა ომი დასავლეთ ფრონტზე, გაექანა მცირე წინააღმდეგობის ხაზით და ახლო აღმოსავლეთს მიაშურა. სომხეთი უძლური აღმოჩნდა გაეწია წინააღმდეგობა საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთისათვის და ამიტომ მან (სომხეთმა) უნდა მიიღოს პოლიტიკური მართველობის იგივე ფორმა, რაც რუსეთში არსებობს. ამასთანავე რუსეთსა და ოსმალეთის ინტერესებს შორის შეტაკება უნდა მოხდეს აუცილებლად. საბჭოთა პრესაში უკვე ისმის ოსმალეთისადმი უნდობლობით გაჟღენთილი ხმები. ბოლშევიკებში იწვევს შიშს, ბათომის ოლქის ბედი, რომელიც არის ნაწილი დამოუკიდებელ საქართველოსი, და რომელნიც ოსმალეთ პრეტენზიების ობიექტს შეადგენს.

აზარბეიჯანში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესის ბიუროს ბიულეტენიდან

7 დეკემბერი.

დროებითი ზავი სომხეთ-ქემალისტებს შორის.

სტამბოლი. 27 ნოემბ. გაზ. „ბოსფორი“ სწერს: მუსტაფა-ქემალმა მოითხოვა, რომ სომხებმა იცნონ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, სახელდობრ სომხებმა უნდა დაუთმონ ქემალისტებს ყარსისა და არდაგანის პროვინციები, რომლებიც ოდესღაც ენვერის მფლობელობაში იყვენ და ეს მიუხედავათ იმისა, რომ იგივე ხელშეკრულება მოითხოვს წინასწარ პლებისციტის მოხდენას. მაგრამ ენვერი ხომ ამაზე თავს არ იტკივებდა.

მუსტაფა-ქემალის მოთხოვნილება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ იგი აგრძელებს ენვერ ფაშას პოლიტიკას. უკვე ლაპარაკობენ საქართველოს ნოტაზე ბათომის პროვინციის ევაკუაციის შესახებ, პროვინციის, რომელიც ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად ოსმალეთს უერთდება რა შეუძლიათ გააკეთონ ქართველებს? მათ უნდა გაეთვალისწინებიათ ქემალისტების გათამამება და უნდა დაეცვათ სომხეთი განადგურებისაგან ახლა უკვე გვიანაა თავის დაცვა; რჩება ერთად ერთი გამოსავალი—გამოაცხადონ საბჭოთა მთავრობა თფილისში და მაშინ წითლები დაიცავენ მათ ქემალისტებისაგან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხომ წითლებმა მოაწერეს ხელი ბრესტის ხელშეკრულებას! შეუძლიათ კი მათ დღეს უარი განაცხადონ ამაზე?

მუდროსში დადებულ საზავო ხელშეკრულების თანახმად ოსმალეთმა აღუთქვა მოკავშირეებს, რომ ის მოახდენს ბათომის, ყარსისა და არდაგანის პროვინციების ევაკუაციას. ასე რომ, ეს საკითხი ეხება არა მარტო სომხეთსა და საქართველოს, არამედ მთელ ევროპასაც.

ზავი სომხეთთან

ტრაპიზონი 28 ნოემბ. სომხეთის საზავო მოთხოვნილებების შესახებ გაზ. „კრიტიკალი“ შემდეგს ამბობს: „ყველა სახელმწიფოებმა და განსაკუთრებით ახალ დაარსებულმა სახელმწიფოებმა თავი უნდა დაანებონ ოცნებებს და პირდაპირ შეხედონ სინამდვილეს. უკანასკნელ ამბებს დიდი მნიშვნელობა აქვს სომხეთისათვის. თუ კი ისინი შესძლებენ მოიპოვონ ნდობა მეზობლების წინაშე მაშინ მათ შეუძლიათ შექმნან ახალი საფუძველი დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის. მხოლოდ სურვილი ზავის შეკვრისა საკმაო არ არის. სომხეთმა უნდა დაუმტკიცოს მეზობლებს, რომ მომავალში არავითარ არა მეგობრულ დამოკიდებულებას ადგილი არ ექნება. ოსმალეთს მხოლოდ მაშინ შეუძლია თავისი თავი მშვიდათ იგრძნოს, თუ სომხეთი მომავალში ხელს აიღებს აგრესიულ პოლიტიკაზე. სომხეთმა უნდა მოგვცეს მტკიცე გარანტიები სწორეთ ამის უზრუნველსაყოფათ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ჩვენგან მოითხოვოთ ლმობიერება. თუ კი სომხეთი დაგვარწმუნებს იმაში, რომ მან დაივიწყა თავისი იმპერიალისტური მისწრაფებები, თუ კი არ მოგვცემს ჩვენ ამის გარანტიებს,—მაშინ, ცხადია, არავითარი დაბრკოლება ზავის საკითხში არ იქნება. მაშინ ჩვენ შევსწყვეტთ სამხედრო მოქმედებას და ვიცხოვრებთ მშვიდობიანათ, როგორც მეზობლები. ჩვენი მიზანია არა სომხეთის განადგურება, არამედ ჩვენი საკუთარი უზრუნველყოფა საფრთხისაგან. ძლიერ სასურველია, რომ ჩვენს აზრებს გაიგებდენ და ზავი შეიკრებოდეს.

მთიელთა საბჭოს სადღესასწაულო

კავკავი. 6 დეკ. (პირდაპირი მავთულით) დაწვრილებითი ცნობები საბჭოს სხდომის შესახებ შემდგარ[illegible] ლებელ კომიტეტის თავ[illegible] კველიას განცხადების შემდეგ დაშნაკების ბურჟუაზიულ ნაციონალისტური მთავრობის ჩამოგდების შესახებ სომხეთის კომუნისტურ პარტიის სახელით სიტყვა სთქვა ვარდანიანმა. მან ნათლად დახატა ისტორიული წარსული, სომხეთისა რომელიც მუდამ დაჩაგრული იყო ხან ოსმალეთის ბეგების, ხან სომეხ მემამულეების მიერ და რომელსაც ბევრი გაჭირვება გადაუტანია თვითმპყრობელობის თვითნებობის გამო. ეს ამბავი იმის დამამტკიცებელია, რომ სომხეთის ხალხს კიდევ შერჩენია ენერგია. ვარდანიანმა მოუწოდა რუსეთის პროლეტარიატს, რათა მან უახლოეს ხანში დახმარება გაუწიოს სომხეთს. საქართველოს კომუნისტურ პარტიის სახელით გამოვიდა ოფციაური, რომელმაც სთქვა, რომ ახლოს არის ის ჟამი როდესაც საქართველოს პროლეტარიატს აღსდგება და საბჭოთა საქართველოს შექმნის. თერგის ოლქის ჯარების პოლიტიკურ განყოფილების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წითელი არმია მუდამ მზათ არის დაეხმაროს ყველა დაჩაგრულებს. უკანასკნელად მოლაპარაკე ს. მ. კიროვმა ნათლად დაასურათა დიდი მნიშვნელობა სომხეთში მომხდარ საბჭოთა რევოლიუციისა. ანტანტა თავიდანვე აგროვებდა თავის ძალებს იმ ხალხში, რომელსაც შეადგენენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები. მაგრამ მომხდარი ფაქტი არის პირველი ეტაპი ანტანტის ამიერ-კავკასიურ პოლიტიკის კრახისა. ვერც ინგლისურმა მედიკამენტებმა, ვერც ამერიკის პურმა ვერ უშველეს დაღუპვის გზაზე დამდგარ სომხეთს, რომელიც მხოლოდ ეხლა მესამე ინტერნაციონალის პატიოსან ოჯახში შესვლით დადგა სწორ გზაზე და ჰპოვა გამოსავალი. კიროვმა თავისი სიტყვა დაათავა წამოძახილით: „გაუმარჯოს სომხეთის ხალხს“! სხდომა დამთავრდა „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

რალლისის კაბინეტი და მოკავშირეების ნოტა.

ათინა 6 დეკ. (ჰავასის, რადიო ლიონიდან). მოკავშირეების ნოტის მიღებისთანავე საბერძნეთის მინისტრთა საბჭო მაშინვე შეიკრიბა სათათბიროთ; თათბირმა ორი საათი გასტანა. ამ თათბირის შედეგების შესახებ ოფიციალური განცხადება გაკეთებული არ ყოფილა, მაგრამ არის ოფიციალური ცნობა, რომ მთავრობის აზრით ამ ნოტას საბერძნეთის მხრივ არავითარი პასუხი არ უნდა მიეცეს. მიუხედავათ ამისა, საბერძნეთის მთავრობამ გადადგა ნაბიჯები, რათა უახლოეს ხანში დაარწმუნოს მოკავშირენი, თუ როგორ უხდის მათ მადლობას მათ საბერძნეთის ხალხი მუდმივ დახმარებისთვის და რამდენათ ერთგულია ის მოკავშირეთა პოლიტიკისა.

იზეტის გამგზავრება.

სტამბოლი, 7 დეკ. (რადიო ლიონიდან). იზეტ-ფაშის საელჩო უკვე გაემგზავრა ანგორაში.

ზავი პოლონეთთან.

ლიონი, 7 დეკ. (რადიო) რიგიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობათა თანახმათ ამ მოკლე ხანში შეიკრა ზავი რუსეთ პოლონეთს შორის. ამ ცნობებში ეჭვი აღარავის ეპარება.

საბერძნეთის მეფის მემკვიდრის დაბრუნება სამშობლოში.

ლიონი. 6 დეკ. (რადიო), 3 დეკემბერს საბერძნეთის კონტრ-ნაღმოსანი კონსტანტინეპოლიდან წავიდა საბერძნეთის ტახტის მემკვიდრის ჩამოსაყვანათ, რომელიც შემდეგ ათინაში გაემგზავრება.

დელეგაცია ანგორაში.

სტამბოლი. 28 ნოემ. „სტამბოლი“ სწერს: „ის სპეციალური დელეგაცია, რომლის ანგორაში გამგზავრების შესახებაც ლაპარაკობდა იზეტ ფაშა,—ეს დელეგაცია მთავარ შტაბის ოფიცერი არის. ამას დავალებული აქვს იმუშაოს ოფიციალურად, რათა გამოარკვიოს ანგორის მთავრობის შეხედულება. ბრწყინვალე პორტა უცდის მის მოხსენებას, რათა მიიღოს განსაზღვრული გადაწყვეტილება ოფიციალურ მისიის გაგზავნის შესახებ.

ე. გეგეჭკორი ვივიანთან

თფილისი. დეკემბრის 7. ნოემბრის 5 ე. გეგეჭკორმა ინახულა საფრანგეთის დელეგატი ერთა ლიგაში ვივიანი და გააცნო რა მას საქართველოს მდგომარეობა, სთხოვა აღმოეჩინა დახმარება საქართველოს რესპუბლიკისათვის მის კანონიერ სურვილში—ერთა ლიგაში მიღების შესახებ. ვივიანი დიდის ყურადღებით მოეპყრო ე. გეგეჭკორის მიერ წარდგენილ მოსაზრებებს და დაპირდა მას, რომ ერთა ლიგის მომავალ უახლოეს სხდომაზე იგი (ვივიანი) მიიღებს თავის თავზე დაცვას და საქართველოს შუამდგომლობის დასაბუთებას ერთა ლიგაში დაშვების შესახებ. ამ დაპირებას საქართველოს რესპუბლიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თანახმად ერთა ლიგის სტატუტისა ის სახელმწიფოები, რომლებიც არ ითვლებიან ლიგის წევრებათ, მოკლებულნი არიან საშუალებას დაიცვან უშუალოთ თავისი წინადადება ერთა ლიგაში მიღების შესახებ და მათ ინტერესების დაცვა უნდა გამოდიოდეს ერთი ლიგის რომელიმე ძველ წევრისაგან

რომელიც მიიღებს თავის თავზე „ჟენქილის" როლს.

ბ. გეგეჭკორის ვივიანთან მოლაპარაკების დროს დაესწრო რენოდენილი, რომელიც იცავდა საქართველოს რესპუბლიკის უფლებას დამოუკიდებლობაზე და მხურვალედ ამტკიცებდა საქართველოს ერთა ლიგის შემადგენლობაში მიღების აუცილებლობას. (სდს)

ახალი ამბები

მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის გაძლიერება. კანონთა გადამსინჯავმა კომისიამ იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით მიიღო კანონ-პროექტი მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. კანონ-პროექტის მეორე მუხლი აღნიშნავს, რომ მოსამსახურე იმ დანაშაულისათვის, რომელმაც თავისი მოქმედებით გამგებლობის წესის ან სახელმწიფოს და სახაზინო ინტერესებს ზიანი მიაყენა, იქნება დატუსაღებული, იმ შემთხვევების გამოკლებით, თუ მოსამსახურე ავათ არის იმდენად, რომ თავისუფლების დაკარგვა ცუდათ იმოქმედებს მის ჯანმრთელობაზე. პროექტში ჩამოთვლილია ვრცლად სასჯელთა ნორმები მოსამსახურეთა სხვადასხვა დანაშაულის შესახებ.

◆ **დუშეთის სამაზრო ერობამ** აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ზოგიერთ კერძო მამულების სამაზრო თემების განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

◆ **მეორე რაიონული კოლექტივი** იწვევს დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე მუშათა ცენტრალურ აუდიტორიის ბინაზე (პლეხანოვის პროსპექტი) პარტიის წევრთა საზოგადო კრებას. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნოე ხომერიკი მიმდინარე მომენტზე და მუშათა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

◆ **მომარაგების სამინისტრომ** მიწადმოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებას შეუკვეთა 100.000 შპალის დამზადება საზღვარ-გარეთ გასატანათ. სატყეო საბჭომ დეკემბრის პირველის სხდომაზე დაადგინა მიიღოს ეს წინადადება და დაამზადოს შპალები შორაპნისა, ფარცხნალისა და ვახანის სატყეო აგარაკებში. აღნიშნულ შპალების დამზადება განზრახულია შორაპნის სამაზრო ერობისა და ადგილობრივ ტყის მრეწველთა საშვალებით.

◆ **ჟურნალი „გვარდიელი"** № 1 გამოვა 12 დეკემბერს დღესასწაულის აღსანიშნავად. შიგ მოთავსებული იქნება წერილები ქ. კაუცკის, ვ. ჯუღელის, აკ. ჩხენკელის, ს. დევდარიანის, ი. გომართელის, ბ. თეკლათელის, ი. ცინცაძის ლექსები: ტაბიძის, ქუჩიშვილის და ვ. რუხაძის. სურათები გვარდიის ცხოვრებიდან. ჟურნალი იქნება დაბეჭდილი ფერადი საღებავით. გაიყიდება კანტორა „განათლებაში" მის აგენტებთან და გვარდიის შტაბებში ეღირება 50 მან.

◆ **საქართველოს ტეხნიკური საზოგადოებაში.** ხუთშაბათს 9 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ეროვნულ (ყოფ. ფრეილინის ქ., № 11,) შესდგება ტეხნიკურ საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც გაიმართება ბაასი ტეხნიკურ და ეკონომიურ საკითხებზე.

— პარასკევს, 10 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, იქვე გაიმართება კომისიის სხდომა საუღელტეხილო რკინისგზის — ბესლან - ქუთაისი-კოპიტნარის გეგმარის გასარჩევად.

◆ **ს. ხალხო სახლი.** ზუბალაშვილის სახ. სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ წრემ დაადგინა: 12 ამა დეკემბერს გამართოს გვარდიის დღე წარმოდგენილი იქნება 1 მოქმედება „მსხვერპლიდან" და „რაც გინახავს ვეღარ ნახავ".

◆ 13-ს გადიდებულ ფასებით წარმოდგენილი იქნება „ღალატი" ფრონტის დამხმარე კომიტეტის ფონდის გასაძლიერებლათ. გამგეობამ გადასწყვიტა ახლო მომავალში გადუხადოს იუბილე ქ-ნ სოფიო ჭრომანიშვილ-დგებუაძეს 20 წლის სახალხო სცენაზე მოღვაწეობის შესრულების გამო.

◆ **ქ. გამსახურდიას მოხსენება.** რესპუბლიკის ბერლინელ წარმომადგენლობის ყოფილი ატაშე ქ. გამსახურდია მწერალთა საბჭოს ინიციატივით ამ დღეებში თფილისში წაიკითხავს მოხსენებას—„თანამედროვე გერმანიის პოლიტიკისა და კულტურის პრობლემები" ბ. ქ. გამსახურდიას განზრახული აქვს ეს მოხსენება პროვინციის ქალაქებშიაც წაიკითხოს. იმ კულტურულ წრეებს პროვინციაში, რომელთაც ამ მოხსენების მოსმენა სწადიათ, უნდა მიმართონ: თფილისი. სიკო ფაშალიშვილს. ფოსტის ყუთი 190 დრო და ადგილი მოხსენების ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ **სახელმწიფო გადასახადის შემოსავალი.** თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობისა მიმდინარე წლის ოქტომბერში საწინაამდეგო გადასახადი შემოსულა სულ 303,303,044 მან. მათ შორის პირდაპირ გადასახადის სახით 32,127,668 მ. არაპირდაპირი გადასახადის სახით 238,628,606 მ. საბაჟო გადასახადის სახით კი 32,546,620 მან. წინა თვესთან შედარებით შემოსავალი გაიზარდა 29,408,599 მანეთით. ამასთანავე შემოსავალი პირდაპირ გადასახადის სახით გაზრდილა 19,086,895 მ. საბაჟო გადასახადის სახით 2,704,925 მანეთით, და აქციზის სახით კი 7,616,779 მანეთით. მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვის თანახმად კი ფიქრობდენ, რომ პირდაპირი გადასახადის სახით შემოვიდოდა 16,734,250 მ. არა-პირდაპირი გადასახადების სახით 121,593,333 მ. და საბაჟო გადასახადის სახით კი 7,839 979 მან. მაშასადამე, ნამდვილმა შემოსავალმა გადააჭარბა ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნულ შემოსავალს.

◆ **ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი.** ფინანსთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში წარადგინა 1920—21 წ.წ. ხარჯთ აღრიცხვის პროექტი. გასავალის ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 8,552,414,771 მან წარსულ წელთან შედარებით მეტად გადიდებულია ხარჯთ-აღრიცხვა, რაც არა მარტო ხარჯების გადიდებით, არამედ უმთავრესად ფულის კურსის დაცემით აიხსნება. ახალ ხარჯთ-აღრიცხვაში ყველაზე დიდ თანხას მოითხოვს მომარაგების საქმე. კულტურულ-განმანათლებელი საქმეებისათვის გადადებული თანხა მთელი ხარჯთ-აღრიცხვის 31½ პროცენტს უდრის. რესპუბლიკის თვითოეულ მცხოვრებს კულტურულ საქმისათვის გადასახადათ ედება 898 მან.; ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის კი 472 მან., რაც წლიურ გასავლის 1664% უდრის.

◆ **სავეტერინარო სკოლაში კურსი დაამთავრეს შემდეგმა პირებმა:** საუკეთესოდ—არზიანი სამსონმ; ბერძენაძე დავითმა; გოცაძე ივანემ; კევლიშვილი მიხეილმა; კოპლატაძე ეგნატემ; მიქაძე ალექსანდრემ; ხევსურიანი აკაკიმ; კარგათ—ამაშუკელი დიმიტრიმ; ბარამიძე ვლადიმერმა; დათუნაშვილი ალექსანდრემ; ინაშვილი ივანემ; ქუმსიშვილი პავლემ; ლაითაძე ერმილემ; ფრუიძე პავლემ; რობაქიძე ალექსანდრემ: სიჭინავა არტემმა; თალაქვაძე შალვამ.

ამავე საფერშლო სკოლასთან არსებულ სამოსწავლო სამჭედლოში სწავლა დაამთავრეს და მჭედლის სახელწოდება მიიღეს: ბურძენიძე სერაპიონმა; ბაკაშვილი მიხეილმა; ხუსკივაძე პოლიკარპემ, ჩაფიძე ალექსანდრემ; ბაკურაძე ერმილემ; ჰამკვეტაძე გრიგოლმა და წიქვაძე პლატონმა.

◆ **ჟურნალ „მუშათა ცხოვრების" კანტორა** აცხადებს, რომ თუ ის კავშირები, რომლებიც ჟურნალს იწერენ, პირველ იანვრამდე ანგარიშს არ გაასწორებენ, იძულებული იქნება ჟურნალის გზავნა შეუწყვიტოს.

კრებები.

9 დეკემბერს, ხუთშაბათს, საღ. 4 საათ. შესდგება მე-7 რაიონის კოლექტივის კრება, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი იაჩეიკების პრეზიდიუმები: ქალაქის სასაკლაოს, სალახთა კავშირის, მებაღეების, სანაინის, სალ ოლლის; რკ. გზ. რაიონულ გამგეობის ფრაქცია, შტაბი, სამხ.-სანივთო საწყობი, სამხედრო ჰოსპიტალი, საპნის და კონსერვის ფაბრიკებიდან და ქალთა წრიდან.

— დღეს, 8 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, სახელოვნო ცენტრის სადგომში (სასტ. „კავკაზი") მოხდება მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომა. ერთი საათით ადრე მოხდება იმავე საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

— თფილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა კავშირში ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს დარბაზში დელეგატთა ყრილობის გაგრძელება.

— 10 დეკემბერს, საღ. 5 საათზე საქ. კოოპერატიულ ბანკის შენობაში დანიშნულია ამავე ბანკის საბჭოს კრება. წევრების დასწრება აუცილებელია.

„წითელ" სომხეთში

„აშხატავორის" აზრი.

„აშხატავორს" (№ 270) მოწინავეში მოჰყავს სომხეთის რევკომის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ „მთელი მიწა მიეცემა გლეხებს, ხალხს გადაეცემა ბუნებრივი სიმდიდრეები, ყველა ფაბრიკები და ქარხნები. ხალხი დაეპატრონება თავის თავისუფალ შრომას: რკინის გზები, რომლების მიმოსვლა შეჩერებული იყო უმაზუთობით, ისევ დაიწყებენ მუშაობას საბჭოთა ადერბეიჯანის დახმარებით და განახლდება შეჩერებული ურთიერთობა განთავისუფლებულ სომხეთთან":

„აი ის, რაც პროგრამით გამოუცხადებია რევოლიუციონურ კომიტეტს. მაგრამ, ვინც სომხეთის ცხოვრებას იცნობს, მან იცის, რომ საუბედუროთ სომხეთში არ არის არც ფაბრიკები, არც ქარხნები, რომლების განსაზოგადოებრივობა შეიძლებოდეს. სომხეთში არ არიან არც მელიქები, არც ბეგები, არც აღალარები, მიწის პატრონები, რომლების ხელიდანაც შეიძლებოდეს მიწების გამორთმევა.

შემდეგ რევოლიუციონური კომიტეტი, განაგრძობს გაზეთი, თავის დეკლარაციაში აცხადებს იმასაც, რომ სახელმწიფოებრივი ყველა ვალები ანტანტისადმი გაუქმებული იქნებიანო.

„ამგვარათ რევოლიუციონური კომიტეტი ადგება იმ გზას, რომელზედაც იდგა საბჭოთა რუსეთი. თუ რამდენად შეეფერება ეს გზა სომხეთის სინამდვილეს, ამაზე ვილაპარაკებთ სხვა დროს. ეხლა კი ვიტყვით, რომ ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯია, რომლის განხორციელების პროცესში ანგარიში უნდა გაეწიოს ფაქტებს. კომიტეტი აღნიშნავს იმასაც, რომ მშრომელ ინტელიგენციას სრული შეძლება მიეცემა აღმაშენებელ შრომებში მონაწილეობა მიიღოს და დაეხმაროს მთავრობას თავისი გამოცდილებით და შეგნებით.

„ასე, ახალი მთავრობის დეკლარაციაში არ არის იმისთანა მუხლი, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ რამე გვქონებოდა. ჩვენ გვგონია, რომ ამ პლატფორმის გარშემო შეიძლებოდა თავი მოეყარათ რევოლიუციონურ და სოციალისტურ ელემენტებს, რომლებისთვისაც ყველაზე მაღლა დგას სომეხი მშრომელი ხალხის და საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესები.

„რევკომი" და დაშნაკცუტიუნი.

არც ორი უკანასკნელი კაბინეტებიდან, რაც დაშნაკცუტიუნის პარტიის ცენტრალურ ბიუროდან პარტიის დადგენილებით რევკომში არავინ შესულა. ესენი ბიუროს დადგენილებით პროვინციის დაბა-ქალაქებში წავიდ წამოვიდნენ („სლ.")

საზავო მოლაპარაკების შეწყვეტა.

„სლოვოს" მიერ მიღებული ცნობით საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადებისთანავე ალექსანდროპოლში სომხეთსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება შესწყდა. მოლაპარაკება სწარმოებდა თვით ალექსანდროპოლის ციხეში, რის გამო სომხეთის დელეგატებს საშუალება არ ჰქონდათ ციხის გარეთ ვისმესთან დამოკიდებულება დაეკავებიათ.

ოსმალთა ჯარები.

ოსმალთა ჯარები ალექსანდროპოლიდან გავიდნენ და გაჩერდნენ მდ. არპაჩაის მეორე ნაპირად. („სლ.")

„წითელ ადერბეიჯანში"

უნავთობა. ჩვენ უნავთოთ ვზივართ —და ეს ასახსნელია. მაგრამ ვინ დაიჯერებდა, (ასე იწყება „კომუნისტ"-ში ერთი წერილი, რომ ბაქოში მცხოვრებნი როდისმე უნავთოთ დარჩებოდნენ? ასე კი მოხდა. ამ ანეკდოტის მიზეზათ „კომუნისტი" სთვლის ბაქოს მომხმარებელ საზოგადოებას. ამბობენ, რომ ზოგიერთი მეორე ხარისხოვანი გარემოება არ იქმნა მხედველობაში მიღებულიო.

ამ ანეგდოტის შესახებ ოხუნჯობენ გაზეთები, რომლებიც ამავე დროს ამბობენ, რომ „პროლეტარების" ცოლები და ბავშვები სდგანან 6, და ზოგჯერ 12 საათიც კუდებში ან და მირბიან ვაჭრებთან ნავთის საყიდლათ და ფუთში აძლევენ 1500—2000 მან.

ბაქოს „სოვდეპი" და სხვა „აპარატები". 1 დეკემბერს ბაქოში დანიშნული იყო ბაქოს მუშათა საბჭოს ხელახალი არჩევნები. ბაქოს „კომუნისტი" თავის მეთაურში ეხება რა ძველ საბჭოს მოღვაწეობას, აღნიშნავს მისი მოქმედების სხვადასხვა მხარეებს, მის დადებით მუშაობას, რომელიც გამოიხატებოდა „კონტრ-რევოლიუციის", როგორც ფიზიკური ძალის, სრულიად მოსპობაში, შემდეგ აღნიშნულია საბჭოს „ნაკლიც".

„მართალია, ჩვენ მიერ შექმნილმა აპარატებმა ჯერ კიდევ სავსებით ვერ გააკეთეს თავის საქმეებს... ჯერ კიდევ არსებობს თავისუფალი ვაჭრობა, რომელიც ნერვებს უშლის მუშებს. ვერ ასწრებს საქმის გაკეთებას ვერც „სოვნარხოზი". ბევრი ფაბრიკები და ქარხნები კიდევ არ არის მის გავლენის ქვეშ. საბჭოთა წარმოებები ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ საკმაო ნაყოფიერებით. ჩვენს დაწესებულებებში კიდევ სხედან საბოტაჟნიკები, სპეკულიანტები და სხვა ჩვენი ფარული მტრები. კიდევ ყოველგან არ არის ჩვენში ნამდვილი პროლეტარული ზედამხედველობა, რომელიც თავის დროზე აღმოაჩენდა ბოროტ-მოქმედებას და უწესოებას".

ბოლშევიკების არალეგალური მუშაობა ჩვენში გარეშე ძალების დახმარებით

კავკასის „ოსობი ოტდელი" და მისი აგენტები.

ფეხზე ვაჭარი, თუ „ოსობი ოტდელის" აგენტი,—აი ის კითხვა, რომელიც წამოგიდგებათ სერგო ხუციშვილის საქმესთან გაცნობით.

როგორც თითონ ამბობს, ის ფეხზე ვაჭრობს. ერთხელ გამოუტანია კავკავიდან 200 ფუთი სიმინდი, ახლაც, თელავის მაზრის მოვლის შემდეგ აცხადებს, რომ ნაყიდი აქვს... ათი ფუთი თხილი. სხვა არავითარი მისი არც ნაყიდი, არც გაყიდული საქონელი არა სჩანს. ნახარჯი კი ასეთია: შოფერთა ამხანაგობის კვიტანცია კავკავიდან თფილისამდე მგზავრობისათვის 30 ათასი მანეთი.

მეორე „სჩოტი" ასეთია:

с 22 авг. 75,000 по 31 авг.	
в гостин. упл. всего	5000
поѣздка в Гурдж.	10,000
„ Тифлис	6.000
За квартиру	1000
на разн. расходы	3000
Итого	25,000 р.
с 1 сентября	50,000
5 сентября	43,000
мыло	1125
квартира	1000
туфли	500
стирка	500
Итого	3125
14 сентяб.	34,000

22 августа вечером	23 августа объд
2 пор. бив.	2 чихир.
2 хлѣб.	2 хлѣб.
1 вино	1 бившт.
1 ст. мол.	1 котл.
	1 вино
23 августа утром	23 августа вечером
2 пор. кот.	2 ст. мол.
2 пор. хлѣб	24 авг. утром
½ вино	1 ст. чаю
1 ст. мол.	½ бут. вина
	2 щи 1 кот.
	1 бив. 1 вин.

25 авгус.
утром 2 ст. чаю.
1 бут. вино.
2 ст. чаю.
3 антрикот.
3 ст. чаю.
хлѣб.
2 щи.
1 антрикот.
1 чахохбили.
1 вино.

ის შეპყრობილ იქნა ოლღა ანტონის ასულის მონტინის ბინაზე. ხუციშვილი აცხადებს, რომ ის მიდიოდა ნაცნობ ქალთან ოლღა მონტინასთან—„ასე, დროებით".

თელავიდან მიწერილ წერილში კი, რომელიც მიმართულია, Мама და папа-სადმი, Оля и Сережа აწერენ რა თელავის ცხოვრებას, დასძენენ, რომ „очень соскучились за Тифлис". წერილში აღნიშნულია თელავის მისამართი —Сергѣю Хуцеву და წერილიც ასე თავდება: „напишите кто к нам приходит".

როგორც ხედავთ, ხუციშვილი ისე, დროებით დადიოდა ოლღა მონტინთან, სამაგიეროთ, არც ოლღა სტოვებდა სეროჟას და ისიც „დროებით" მიჰყვებოდა მას თელავში.

კიდევ ერთი ფეხზე ვაჭარი! ეს არის ყოფილი ლეიტენანტი გიორგი მიხეილის ძე ჯანაშვილი. წინად ის მსახურობდა სახალხო გვარდიაში, მაგრამ 1919 წლის 27 ოქტომბერს (№ 5697) „уволен за сокращенiем штата".

მოვუსმინოთ ჯანაშვილს: „ვაჭრობაში გავიცანი ერთი ვინმე „დავითი", რომელიც მაძლევდა ფულს სავაჭროდ. მან გამაგზავნა კავკავში სავაჭროდ და მომცა ასიათასი მან. (100,000), მაგრამ იქ არაფერი არ მიყიდია. დავითის გვარი არ ვიცი... ხუციშვილი მე გავიცანი ჩვენს ეზოში. მან ორჯერ წამიყვანა თელავში სავაჭროთ და როგორც მახსოვს ცოტა რამეები ვუყიდეთ".

ჯანაშვილის Счет-ი ასეთია:

Израсходовано мною из аванса товарища Давида слѣдующие: на дорогу от Владикавказа до Тифлиса двадцать тысяч (20,000 р.) 10 тысяч совѣт. и десят. тысяч грузин.

Десят тысяч совет. продал за тысячу р. (1000).

на посту в мцхетѣ проѣзд стало сем тысяч руб (7000).

в тифлисѣ во время обмѣна денег был задержан агентом особаго отряда и освобожденiе обошлось десять тысяч (10,000 р.).

Проѣзд от станц. Тифлиса до Телава для выснения дѣла стало туда и обратно четыре тысяч (4000 р)

Десят тысяч Владикавказа для своей нужды и десять тысяч по дорогѣ.

ხუციშვილის და ჯანაშვილის ნაცნობი ალექსი გიორგის ძე ჯარიაშვილი კი „დროებით ცხოვრობდა თფილისში—სასტუმრო „ბრიტანიაში"—და როგორც განაცხადა ჩამოვიდა კავკავიდან ავადმყოფობის გამო. ხუციშვილს იცნობს დიდი ხნია, ისიც კავკავიდან არის. ჯანაშვილი კი აქ გაიცნო". X.

პასუხად გ-ნ ბარონს

სასურსათო კომიტეტიდან დათხოვნილი კომუნისტი ბარონი ვრცელ წერილს ათავსებს გაზ. „კომუნისტის" № 103 სათაურით — „ბოროტ-მოქმედება თუ დაუდევრობა." რასაკვირველია, ამ წერილის მიზანი არის ნიადაგის მომზადება მომავალ არჩევნებში კომუნისტების სასარგებლოდ. ბ. ბარონი ბრალდებას უყენებს სასურსათო კომიტეტს, ცენტრალურ გამგეობას და სარევიზიო კომისიას. ეს მას ასე უნდა ექნა, როგორც გამოცდილ კომუნისტს, რომ საპასუხო წერილს სიმართლის აღსადგენათ მასსის თვალში ნდობა და გავლენა დაეკარგა და მისგან გადმოსროლილი პროვოკაცია არ გაქარწყლებულიყო. ეხლა გადავიდეთ მის მიერ წამოყენებულ ბრალდებებზე: 1) თითქოს სასურსათო კომიტეტს მუქთად გაეყიდოს შაქარი და ფქვილი; ძვირად: კონსერვები კოსტიუმები, ბზე და სხვა. ზემოაღნიშნულ ბრალდებებზე ჩვენ მკითხველების ყურადღებას არ შევაჩერებთ, ვინაიდგან ის აგებულია ინსუნიაციებზე და ფაქტების გადამახინჯებაზე, რომლის შესახებ პასუხი გასცა სასურსათო კომიტეტმა „ერთობის" № 273 ში, რასაც სარევიზიო კომისია ადასტურებს.

2) ცენტრალურ გამგეობის წევრებს გ-ნი ბარონი ბრალს სდებს, ვითომ მათ გაჰქონდათ ნახევარ ფასებში საქონელი და ისიც ნისიათ, გაიტანეს ყველი, კარაქი, შეიძინეს ოთხ-ფეხი საქონელი და სხვა. სარევიზიო კომისია აღნიშნავს, რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს არამც თუ ნახევარ ფასებში, არამედ დაკლებულ ფასებშიაც რაიმე წაეღოს. რაც შეეხება ყველს და კარაქს,—ამაზე ლაპარაკიც მეტია, რადგან ის იყო შეძენილი კერძო დავალებით გასულ ზაფხულში აგენტ აბაშიძეზე. ასეთივე დავალებით თვით ბარონმაც კი მიიღო ყველი იმავე აგენტიდან. ოთხფეხი საქონლის შესახებ სარევიზიო კომისია აღნიშნავს, რომ საქონელი იყიდებოდა საჯაროთ და სხვა მოქალაქეებთან ერთად იყიდეს ზოგიერთმა ცენტრალური და სასურსათო კომიტეტის წევრებმაც.

რაც შეეხება საქონლის ვალად გაცემას, მართალია, ეს იყო დაშვებული გამონაკლის შემთხვევებში. ამის შესახებ იყო და არის მიღებული ზომები და ახლო მომავალში იქნება გასწორებული. თავისი წერილისათვის ბ. ბარონს უნდოდა ვითომ ისეთი შინაარსი მიეცა, რომ სასურსათო კომიტეტში ბოროტება ხდებოდა და სარევიზიო კომისია კი სდუმდა. უნდა აღვნიშნოთ, —სარევიზიო კომისიაში მუშაობდა თერთმეტი თვე კომუნისტი შენგელია; ყველა წევრებზე მეტმა ნამუშევარმა და გაცნობილმა საქმესთან, რატომ მან არაფერი სთქვა?

თუ სხვა წევრები არაფერს ამბობდენ, ის ხომ თქვენი ამხანაგია და იტყოდა, მაგრამ რას იტყოდა, რაც არ იყო სათქმელი. ერთი სიტყვით, ყველა თქვენს ბრალდებებზე სარევიზიო კომისია არ სცნობს საჭიროთ დაწვრილებითი პასუხის მიცემას პრესაში, ვინაიდან თქვენ მიიღეთ პასუხი სასურსათო კომიტეტისაგან და ცენტრალური გამგეობიდან, რომლებსაც სარევიზიო კომისია სრულიად ადასტურებს. თავის მოღვაწეობის შესახებ კი იგი მოახსენებს ყრილობას, რომელიც ახლო მომავალში იქნება მოწვეული.

მთავარი სარევიზიო კომისია.

უცხოეთი

ავსტრია.

ოტტო ბაუერის აზრი პოლიტიკური მდგომარეობისა და სოციალდემოკრატიის მიზნების შესახებ. „ჰუმანიტე"-ს 7 ნოემბრის ნომერში მოთავსებულ ვენიდან გაგზავნილ კორესპონდენციაში მოყვანილია ადგილები ოტტო ბაუერის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა ავსტრიის სოციალდემოკრატიულ პარტიის ყრილობაზე.

ოტტო ბაუერმა წარსული ორი წელიწადი დაახასიათა, როგორც კოალიციის პერიოდი. ამ ორი წლის განმავლობაში სოციალდემოკრატია ხელმძღვანელობდა ავსტრიას, მაგრამ არ იყო იქ გაბატონებული.

„პროლეტარიატის დიქტატურა,—განაცხადა შემდეგ ბაუერმა,—ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელი იყო. ასეთი დიქტატურის დაწესების ნებას ეკონომიური მდგომარეობა მოგვცემდა მხოლოდ რამოდენიმე მსხვილ ქალაქებში და წარმოების ცენტრებში; მაგრამ არა სასოფლო მეურნეობის რაიონებში. ჩვენ განუწყვეტლივ გვემუქრებოდა უცხოელთა ჯარების შემოსევა. დიქტატურაზე ანტანტა დაუყონებლივ ეკონომიური ბლოკადით გვიპასუხებდა. ცხადია, რომ ამ პირობებში პროლეტარიატის დიქტატურა მალე დამარცხდებოდა და ჩვენ ისეთსავე კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდებოდით, როგორშიაც ჩაცვივდნენ ჩვენი ძმები უნგრეთში. ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვიყავით ძალა-უფლება სხვა პარტიებისათვისაც გაგვენაწილებია. ამ გზით ჩვენ ვადიდებდით ჩვენს გავლენას. წინააღმდეგ ყველა სხვა ქვეყნებისა, სადაც კი რევოლიუცია მოხდა, ჩვენ შევძელით ავსტრიაში არმიის შექმნა, რომლის გამოყენება პროლეტარიატის საზიანოთ შეუძლებელია. ახლა ბურჟუაზიას მარტოკას მოუხდება ძალა-უფლების ღება. ჩვენ მაინც ყველა რევოლიუციონურ საშუალებებით ვიბრძოლებთ არმიაში რევოლიუციონურ სულისკვეთების შესანარჩუნებლად. ჩვენი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზიულ რესპუბლიკის საზღვრებშივე საფუძველი დავუდოთ სოციალისტურ რესპუბლიკას".

კანონთა გადასინჯვა

დეკემბრის 4 იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა კანონთა გადამსინჯავ კომისიის პლენარული სხდომა. ამ სხდომაზე მიიღეს კანონ-პროექტი სამხედრო სასამართლოებისა და ომიანობის დროს სასამართლოთა გაუქმების შესახებ.

ახალი პროექტის მიხედვით ომიანობის დროს იმოქმედებს ჩვეულებრივი სასამართლოები, ე. ი. სამომრიგებლო და საოლქო, რომელიც შესდგება 3 წევრისაგან—ნაფიცი მსაჯულთა მონაწილეობის მიუღებლათ. ეს სასამართლო იმოქმედებს იმავე წესით, როგორც საერთოდ მოქმედებს ჩვეულებრივი სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ომიანობის დროს იუსტიციის მინისტრს სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით უფლება ეძლევა საომარ ასპარეზზე გაგზავნოს საოლქო სასამართლოს წევრები იქ მომხდარ ამბების გასარჩევად. მთავარ სარდლის შტაბთან მოვლინებული იქნება პროკურორის ამხანაგი და ორი გამომძიებელი. პროკურორი თვალყურს ადევნებს სამხედრო მოსამსახურეთა საქმეების კვლევა-ძიების საქმეებს, გამომძიებლები კი წინასწარ გამოძიებას ახდენენ. საჭიროებისამებრ იგზავნებიან აგრეთვე მომრიგებელი მოსამართლენი. ამასთანავე პროექტი სამხედრო დროის საქმეების წარმოების განსაკუთრებულ წესებს ამყარებს: ისპობა საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრება. მომრიგებელ მოსამართლეთა განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ უახლოესს საოლქო სასამართლოში და საოლქო სასამართლოს განაჩენისა კი რესპუბლიკის სენატში. განაჩენთა გასაჩივრების ვადა შემოკლებულია. განაჩენი იმ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, რომელთაც გამასწორებელ რაზმზე უფრო დიდი სასჯელი არა აქვთ მისჯილი, შეიძლება დროებით შეჩერებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო უფროსები საჭიროთ დაინახავენ ამ პირის ჯარში დატოვებას. (სდს).

კომუნისტების მუშაობა პროვინციაში

როცა თვალყურს ადევნებ გაზ. „ახალ კომუნისტის" ფურცლებზე მოთავსებულ წერილებს პროვინციიდან ამა თუ იმ იდეის პარტიული მოქმედების გამო, მაშინ გულში გეცინება და ფიქრობ: ვინაა თვით ეს იდეის ხალხი, რომელნიც ასე ბევრს ლაპარაკობენ მენშევიკებზე და გამოდიან კომუნისტების სახით? და როდესაც ეცნობი თვითეულ მათგანის პიროვნებას, მაშინ ძალაუნებურათ იტყვი:—ვაი იმ პარტიას, რომელსაც თქვენ ეკუთვნით და რომლის სახელითაც თქვენ გამოდიხართ! აქ მე განსაკუთრებით მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო ხაშურის კომუნისტებს.

გაზ. „ახალი კომუნისტის" 109 №-ში მოთავსებულია ხაშურიდან კორესპონდენცია, რომელიც შეხება მე, რომ 19 ნოემბერს, კომუნისტი ფილიშვილთან კამათის დროს მე მას, ფილიშვილს, გავარტყი სილები და სხვ. მოდი და ნუ გაგეცინება? ეს ის ფილიშვილია, რომელიც 1918 წელს ხაშურის ორგანიზაციიდან გაძევებული იქნა ფრონტზე მოღალატეობის გულისთვის; მხოლოდ შარშან 1919 წ. მან ხაშურის სადგურიდან რამოდენიმე ტომარა ფქვილი მოიპარა და იმის გულისთვის სამი თვე ციხეშიც იჯდა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ფინიშვილმა ამ ზაფხულის ე. ი. 1920 წ. ერთ სხვა პირთან ერთად ხაშურის სადგურზე გააუპატიურეს ვინმე მუნჯი მანდილოსანი და ჩამადანიც მოპარეს, რომლის გამოც სურამის სასამართლოში იყო გამოძიება და ფინიშვილი აქედანაც გამოძვრა.

აი ასეთი ხალხისაგან შესდგება მთლად ხაშურის კომუნისტების ორგანიზაცია. და რა გასაკვირალია, როცა ასეთი გათახსირებული პიროვნება მუშათა კლასის სახელით გამოდის ხალხში და ამ უკანასკნელის ჭირ-ვარამზე ლაპარაკობს, მაშინ რომელ იდეურ მუშას შეუძლია მოუთმინოს ე. ი. არ გამოვიდეს მოთმინებიდან.

ხაშურის კომუნისტებიდან, ყველაზე უფრო იდეიურ მებრძოლათ გამოდის სტუდენტი სოკრატ ბაბნიძე, მაგრამ არის ერთი მეცნიერული სიტყვა: „მითხარ ვისთან დადიხარ და გეტყვი ვინა ხარო".

საერთოდ მე მინდა პროვინციაში მაწანწალა კომუნისტების საყურადღებოდ განვაცხადო შემდეგი: ბატონო კომუნისტებო! თქვენი დაბრმავებული პოლიტიკის წყალობით ამ სამი წლის განმავლობაში გორის მაზრამ და ჯავის ხეობამ ბევრი იწვნია. და ყველაფერი ეს ხომ თქვენი პოლიტიკით მოხდა.

მან უკვე იგემა თქვენგნით „სოციალიზმის" გემოვნება.

მაგრამ ყველაზე უფრო მიგიხვდით თქვენ რევოლიუციონურ ბრძოლაში ნაცადმა მოწინავე მუშებმა, უმეტესათ კი ისეთი ცენტრის მუშებმა, როგორიც არის ხაშური.

წავიდა ის დრო, როდესაც ხაშურის რაიონში მოთარეშე ყაჩაღები თქვენი მანდატებით დადიოდენ სოფლებში და მათი წყალობით თქვენ სოფლებში აგიტაციის საშვალება გქონდათ!

თუ იდეიური ბრძოლის შნო გაქვთ, გამოდით, როგორც პრესით, ისე საჯარო კრებებზეც და სიმართლე ილაპარაკეთ, თორემ ხომ მოგეხსენებათ: „ტყუილს მოკლე ფეხები აბია"...

ხაშურელი მუშა ზიბილოვი.

საქართველოს საავადმყოფო კასათა პირველი კონფერენცია

(მოხსენებები ადგილებიდან)

თფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასა.

თფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასა დაარსდა 1919 წელს შრომის კომისრის ინიციატივით და თამბაქოზე მომუშავეთა მონაწილეობით. პირველად რამოდენიმე თვეების განმავლობაში კასა ძლივ-ძლივობით არსებობდა; არ იყო საშუალებები, არ იყო მომზადებული მუშაკები. 1919 წლის ოქტომბრიდან საავადმყოფო კასათა მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა; კასას შეუერთდა მბეჭდავთა საავადმყოფო კასა და მთელი რიგი წარმოებებისა. იანვარში არჩეულ იქნა ახალი გამგეობა, რომელშიაც შედიოდნენ 22 წევრი—მსხვილ წარმოებათა წარმომადგენელნი.

დაიწყო ინტენსიური მუშაობა და აქ

საავათმყოფო კასის წინაშე დაისვა საკითხი არსებულ დაზღვევის კანონის ზოგიერთ მუხლების შეცვლის აუცილებლობის შესახებ, როგორიც არის მაგალითად, მისაცემ დახმარების რაოდენობა, ქალის შრომის პირობები და სხვა. რწმუნებულთა საზოგადო კრების სანქციით, კანონის სათანადო მუხლები შეცვლილ იქნა იმ მხრივ, რომ დახმარება მიეცა მუშებს სამუშაო ქირის 3/4-დის რაოდენობით, ხოლო ღარიბებისათვის ავათმყოფობის შემდეგ დახმარება გადიდებულ იქნა სამუშაო ქირის 1 1/2-მდე. გადიდებულ იქნა ქალების შვებულება მშობიარობამდის და შემდეგ 2 თვემდე. დადგენილ იქნა ავათმყოფ წევრებზე ყოველგვარი მომატების გავრცელება, რომელსაც კი დაადგენდა სატარიფო პალატა.

საავათმყოფო კასამ შეიმუშავა კულტურულ განმანათლებელ მუშაობის გეგმა. გარდა ამისა მოწყობილ იქნა საექიმო დახმარება კასის მონაწილეთა ოჯახის წევრებისათვის. განზრახულია ახლო მომავალში გახსნას ამბულატორია კასის მონაწილეთა ოჯახის წევრთათვის და იმ მუშებისათვის, რომელნიც საექიმო დახმარებას არ ღებულობენ წარმოებებიდან.

ამ დროებით საერთო საქალაქო საავათმყოფო კასაზე მიწერილია 240 წარმოება 5000 წევრით.

უკანასკნელ 11 თვის განმავლობაში საბრუნავი კაპიტალი 11 მილიონ მან. უდრის; გასავალი ამავე დროის განმავლობაში უდრის 7 მილიონ მანეთს.

სთვლიდა რა აუცილებელ მიზნათ კასის მონაწილეთა საექიმო დახმარების საქმის თავის ხელში აღებას და ასაბუთებდა რა, რომ ეს საკითხი შეიძლება გადაჭრილი ყოფილიყო მხოლოდ საერთო მასშტაბით,—თფილისის საერთო საქალაქო საავათმყოფო კასამ აიღო თავის თავზე ინიციატივა მოეწვია საქართველოს საავათმყოფო კასათა კონფერენცია, რომელმაც თავის გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს ამ საკითხზე და მთელი რიგი სხვა სოციალურ დაზღვევის საკითხებზე.

თფილისის ტრამვაის საავათმყოფო კასა

თფილისის ტრამვაის საავათმყოფო კასაში შედის ქალაქის თვითმართველობის სამი წარმოება 1200 წევრით. ჯერ კიდევ 1914 წელს კასამ თავის ხელში აიღო კასის მონაწილეთა და მათი ოჯახების საექიმო დახმარების საქმე. დახმარება ეძლევა სამუშაო ქირის სამი მეოთხედიდან ერთ ნახევრამდე რაოდენობისა.

კასის მონაწილეთა და მათი ოჯახების საექიმო დახმარება ხდება წარმოების ხარჯზე. ამასთანავე ავათმყოფნი სავსებით უზრუნველყოფილნი არიან საამბულატორიო დახმარებით და საექიმო წამლობით წამლების მიცემით. 1918 წელს საექიმო დახმარებისათვის დაიხარჯა 182.000 მ. 1919 წ. 847.000 მ. 1920 წ. 1 1/2 მილიონი მან. ამავე დროს განმავლობაში დახმარების სახით დაიხარჯა: 195,000 მ. 655,000 მ. და 2 1/2 მილიონი მან.

იმ ავათმყოფებს რომელნიც საჭიროებენ გაძლიერებულ კვებას, ეძლევათ სამუშაო ქირის 1 1/2 რაოდენობა.

მიმდინარე წელს 110 კაცი გაგზავნილ იქნა აგარაკზე, რაზედაც დაიხარჯა 1,300,000 მან. ქალებს მშობიარობამდე და შემდეგ ეძლევა 2 1/2 თვის შვებულება სამუშაო ქირის შენახვით. კასაში მუშების გამოქვითვა უდრის 2 1/2%, წარმოებებს შეაქვთ 2%.

მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა რკინის გზაზე.

რკინის გზაზე მოსამსახურეთ, რომელთა რიცხვი 16,000 კაცს უდრის, არა აქვთ საავათმყოფო კასა, როგორც ასეთი, მაგრამ მის ფუნქციას ასრულებს ორი ორგანო: საექიმო-სასანიტარო კომისია, რომელშიაც შედიან კავშირისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და საპენსიო კასა. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა საექიმო დახმარება ხდება საწარმოებლების ხარჯზე. საექიმო დახმარებისათვის არსებობს ამბულატორია 240 საწოლით. გარდა ამისა არის სამი სანატორია—სურამში, ცემში და ქობულეთში. 6 თვის განმავლობაში ავათმყოფობაში მყოფნი სარგებლობენ საავათმყოფოში ექიმობით 4 თვის განმავლობაში ჯამაგირის შენახვით.

წარმოებაში დაშვებულნი სარგებლობენ ექიმობის უფლებით ერთი წლის განმავლობაში, 4 თვის განმავლობაში სრული ჯამაგირის შენახვით. სულით ავათმყოფთ უფლება აქვთ ერთი წელი იექიმონ სრული ჯამაგირის შენახვით. დროებითი მუშა-მოსამსახურენი სარგებლობენ საექიმო დახმარებით საერთო წესით, მაგრამ ღებულობენ სამუშაო ქირის ნახევარს. საპენსიო კასა დაარსებულია წარმოების მიერ 1912 წლიდან. პენსიის განმსაზღვრელ კომიტეტში შედის კავშირის წარმომადგენელიც. საპენსიო კასის წევრებს შეაქვთ 30 მანეთი თვეში, ამდენივე შეაქვთ წარმოებებსაც. ყოველ წლივ ხდება პენსიონერებთა გადასინჯვა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს პენსიის გადიდება ან შემცირება ან სავსებით მოხსნა. ქვრივები და ობლები ღებულობენ ისეთივე პენსიას, როგორიც მიღებული იყო დაშავებულთათვის.

თუ საპენსიო კასის მონაწილე მოისურვებს გამოწერას, მას შეუძლია უკანვე გამოიტანოს შეტანილი თანხა დამატებითი გადასახადით და იმ პროცენტებით, რომელიც მას ერგება.

პროფესიონალურ კავშირებში

მეტყავეთა კავშირში.

2 დეკემბერს მეტყავეთა კავშირში გაიხსნა ამავე კავშირის დელეგატთა საბჭოს სხდომა. დაესწრო 68 წარმომადგენელი. მეტყავეთა კავშირის გამგეობის სახელით ამხ. კოჩლამაზაშვილი ხსნის კრებას და მოუწოდებს ამხანაგებს აირჩიონ თავმჯდომარე. ხმის უმრავლესობით კრება თავმჯდომარეთ ირჩევს ამხ. კოჩლამაზაშვილს. შემდეგ კრება ამტკიცებს დღიურ წესრიგს: 1) მოხსენება ეკონომიურ საკითხზედ, 2) მოხსენება ორგანიზაციულ საკითხზე და მოხსენებანი ადგილებიდან. 4) მიმდინარე კითხვები. პირველ საკითხზე ლაპარაკობს ამხ. კავშირის მდივანი. ის ასწერს დღევანდელ გაჭირვებას, რომელსაც მისი აზრით ყველაზე ძალიან მუშათა კლასი ჰგრძნობს და ამბობს: დღეს ყველი მუშისთვის ცხადზედ უცხადესია, რომ მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოთ წარმოების გაძლიერებით. თუ დღეს გაჭირვებაში ვართ, ეს იმიტომ, რომ მოთხოვნილება საგნებზედ მეტია, მაგრამ თვითონ საგნები კი ნაკლებია. რომ თავიდან ავიცილოთ გაჭირვება ანუ უკეთ, გამოვიდეთ ამ გაჭირვებიდან, საჭიროა მეტის შექმნა და შექმნილის ეკონომიურად ხარჯვა.

მუშების წარმომადგენელი ამხ. ვასო მურადოვი ასწერს, რა მუშების უმწეო მდგომარეობას ამბობს: ამხანაგებო! ჩვენ ჩვენი „ხაზეინები“ გვაყვედრიან იმას, რომ შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდიდან სარგებლობთ სურსათით, ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ რამოდენიმე თვეა, რაც სრულიად არაფერი არ მიგვიღია გარდა პურისა. ჩვენ არ გვინდა მომატება, ჩვენ გვინდა, რომ თავის დროზედ გვეძლეოდეს შაქარი, ნავთი და სხვა რაც აუცილებლათ საჭიროა ჩვენთვის, თუ ჩვენი მომარაგების საქმე არ გაძლიერდა, ჩვენ მოგვიხდება ჯამაგირების მომატების მოთხოვნა. ამხ. კარველაძე მოითხოვს ჯამაგირების მომატებას. ამხ. პოლოსოვი ამბობს: ამხ. მღვიმელმა სთქვა, რომ ჯამაგირების მომატება გამოიწვევს სურსათის გაძვირებას და ამიტომ ის (მომატება) უნდა უნდა უარვყოთო. მაგრამ ვეკითხები ამხანაგს: სურსათი მას აქეთ არ გაძვირებულა? რასაკვირველია, გაძვირდა, მაშასადამე, ჯამაგირების მომატება აქ არაფერ შუაშია. ჯამაგირების მომატება უნდა უეჭველათ მოვითხოვოთ და ამასთან ერთად უნდა მოვითხოვოთ ერთდროული დახმარება. ამხ. ანნა პრედე აღნიშნავს რა ჯამაგირის მომატების დამღუპველობას მოუწოდებს ამხანაგებს, უარჰყონ ეს საშუალება და ამბობს: ჩემის აზრით უმჯობესია გაძლიერდეს მუშების მომარაგება, ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოს დეფიციტი მოსდის იმავე პურის მიცემით; მუშების სურსათით მომარაგების გაძლიერება არ შეიძლება მარტო სახელმწიფოს ხარჯზედ, საჭიროა მწარმოებლებმა შეიტანონ მომარაგების ფონდში კიდევ ზედმეტი თანხა, რის ნორმასაც სატარიფო პალატა განსაზღვრავს, რითაც მომარაგების სამინისტროს შეძლება მიეცემა შეიძინოს სურსათი და სხვა საჭირო საგნები სახელმწიფოში არაფერი მაგისთანა არ არის. ამიტომ რაც იქ სხვა განათლებულ ქვეყანაში არის ყველაფერის პირდაპირ ჩვენში გადმოტანა არ შეიძლება. ადგილებიდან მოხსენების შემდეგ ყრილობას წარმოუდგინეს ორი რეზოლიუცია, პირველი: არჩეულ იქნას კომისია, რომელსაც დაევალება მუშების მდგომარეობის ადგილობრივ გამორკვევა, ტარიფების გადასინჯვა. ორგანიზაციულ საკითხის მოგვარება, უარყოფილ იქნას მომატება და ერთდროული დახმარება როგორც უვარგისი საშუალება მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, მოითხოვოს ვისგანაც ჯერ არს ფულუფის გადიდება, იმდენად რამდენათ ეს ზომა არ გამოიწვევს ისეთ მიზეზებს, რომელიც გაართულებს ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობას. მეორე რეზოლიუცია ყველაფერში ეთანხმება პირველს იმ განსხვავებით, რომ მეორე თხოულობს ერთდროულ დახმარებას 10,000 მანეთს. ხმის უმრავლესობით 3 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა პირველი რეზოლიუცია. ამის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც შედიან ამხ.: 1) თოდრია, 2) ძამაშვილი, 3) შამესდინერი, 4) პოლოსოვი, 5) ეჯიბაზოვი, 6) მურადოვი, 7) ხოჯოპარუხოვი. შემდეგი სხდომა დანიშნულია 9 დეკემბერს.

ვან-კო.

ელექტრონზე მომუშავეთა კავშირში. შემათანხმებელმა კომისიამ, რომელშიაც შედიან ელექტრონზე მომუშავეთა კავშირისა და ფაბრიკა ქარხანათა საზოგადოების სადგურების მეპატრონეთა სექციის წარმომადგენელნი, გადაწყვიტა დაარსოს სასურსათო ფონდი, საიდანაც ელექტრონის სადგურებზე მომუშავეებს მიეცემათ პირველ საჭიროების საგნები. აღნიშნულ ფონდში სადგურების მეპატრონეებს შეაქვთ თვითეულს 10 000 მანეთი თვითეულ მუშაზე და მოსამსახურეზე. იქმნება შერეული სასურსათო კომისია, რომელშიაც შევლენ მხარეების წარმომადგენელნი; კომისია შეისყიდის საქონელს და დაურიგებს მუშებს თვითეულ 10,000 მან. ღირებულს, სანამ ამ მიზნისათვის დანიშნული თანხა არ გამოილევა. აღნიშნულ თანხის გათავების შემდეგ განზრახულია მოეწყოს მუდმივი სასურსათო ფონდი და კომისიას დაევალება განაგრძოს თავისი მუშაობა, სანამ უკეთესი პირობები შეიქმნებოდეს კავშირის წარმომადგენლებათ საერთო კრებამ 5 დეკემბერს აირჩია ამხანაგები: ბუაძე, დევდარიანი, რიაბოვი, სურინი, გალუსტოვი, მატკოვსკი და რომანოვი.

ს.-დ. პარტიაში

ნაძალადევი. 2 დეკემბერს შედგა მე-7 რაიონულ კოლექტივის სხდომა ამხ. ლორიას თავმჯდომარეობით. პირველად მოსმენილ იქნა მოხსენება ოლ. კომიტეტიდან, რომლის შესახებაც გადაწყდა შემდეგი: „ახალი სხივის“ შესახებ მოწვეულ იქნას „იაჩეიკების“-ს პრეზიდიუმები, კავშირების ს.-დ. ფრაქციები და მოწინავე ამხანაგების შეერთებული სხდომა, სადაც უნდა გაირჩეს პარტიაში წარმოშობილი ოპოზიციის საკითხი. კოლექტივი მოითხოვს აგრეთვე ჟურნალი, რომელიც განზრახულია გამოიცეს—უნდა გამოვიდეს აუცილებლათ სახელმწიფო ენაზე, რომ ამით შეძლება მიეცეს მუშებს თეორიულ განვითარებას მოკიდონ ხელი.

პარტიული მუშაობის შესახებ გაიმართა კამათი; წაკითხულ იქნა აგრეთვე ამხ. ვ. ჯუღელის მოწოდება „ერთობიდან“. ამხანაგები აღნიშნავენ, რომ ამხ. ვალიკოს მოსაზრებები სრული ჭეშმარიტებაა. კოლექტივმა გამოიტანა შემდეგი დადგენილებები: კოლექტივი სიამოვნებით ეგებება პარტიულ ფონდის შექმნას, მოუწოდებს ყველას, ვისაც კი შესტკივა გული პარტიის გამოსაჯანსაღებლათ,—გაიღოს თავისი წვლილი. კოლექტივი მოუწოდებს ამხანაგებს, რომლებიც ამ ბოლო დროს პარტიულ მუშაობას მოსწყდნენ, კვლავ დაუბრუნდნენ პარტიულ მუშაობას". კოლექტივმა დაადგინა აგრეთვე შესაძლებლობის ფარგლებში გაცხრილულ იქნას წევრთა სია. გადაწყდა აღიძრას შუამდგომლობა მთავარი შტაბის წინაშე, რათა თავდაცვის რაზმის წევრთ, რომლებიც ყარაულში არიან გამოსულნი,—მისცეს დროებით ერთი წყვილი ფეხსაცმელები და ერთი „ბუშლატი“.

პ. დეხელი.

გორი. 3 დეკემბერს გორში შედგა პირველ რაიონის ორგანიზაციის წევრთა კრება. კრება გახსნა კოლექტივის თავმჯდომარის ამხანაგმა ი. ნავროზაშვილმა. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) გაზეთ „კომუნისტის“ № 103 ში მოთავსებული ბარონის წერილის შესახებ, 2) მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა უმწეო მდგომარეობა, 3) სკოლის საკითხი, 4) სასურსათო საკითხი, 5) რკინის გზელთა მე-3 ყრილობისთვის კანდიდატების დასახელება. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ნავროზაშვილმა. მან გააცნო კრებას ის ბრალდებები რომლებიც წამოყენებული იყო ბარონის წერილში და აგრეთვე ყველა დავა და გამოხმაურება სხვა გაზეთებიდან. მოისმინა რა მოხსენება და ზოგიერთ ამხანაგების განმარტება,—კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვინაიდან გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილში ნათლად გამოსჭვივის როგორც ცენტრალური გამგეობის წევრების და სასურსათო კომიტეტის წევრების სახელის გატეხა მასაში, აგრეთვე ჩვენი პარტიის ავტორიტეტის დაცემა თავის პარტიის კაპიტალის შესაძენათ მოახლოვებული არჩევნების დროს, კრება დასძენს რომ დამნაშავეს ვინც უნდა იყვეს იგი, შესაფერი მსჯავრი დაედება. აგრეთვე კრება მოითხოვს მომავალი ყრილობისგან სასტიკი პასუხი მოსთხოვოს და შესაფერი მსჯავრი დასდოს დამნაშავეთ, თუ მართლა ბოროტმოქმედებას ადგილი ქონდა. მოისმინა რა კრებამ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა უმწეო მდგომარეობა,—დაადგინა: ვინაიდან მიწის ძვრისაგან დაზარალებულმა მუშა მოსამსახურეებმა და საერთოთ მოწინავე ამხანაგებმა თავის დროზედ აღძრეს შუამდგომლობა, რომ დაზარალებულთ ცოტათი მაინც აენაზღაურებოდათ ზარალი, მისცემოდათ 2 თვის ჯამაგირი სესხის სახით, რომელიც ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა უმწეო მდგომარეობას იყო ბევრი დაპირებები და ამის მოლოდინში მუშა - მოსამსახურე უკანასკნელ განწირვის დღემდის მივიდა,—კრება სთხოვს მომავალ რკინის გზელთა ყრილობას ეს საკითხი დღის წესრიგში იყოს შეტანილი, გამოარკვიოს რა ბედი ეწია აღძრულ შუამდგომლობას და თავის დაზარალებულ მოძმეთ აღმოუჩინოს ერთდროული დახმარება და აუნაზღაუროს ზარალი. იქონია რა მსჯელობა სკოლის საკითხის შესახებ—კრებამ აირჩია 3 წევრისაგან შემდგარი კომისია: იოსებ დონჯაშვილი (ექიმი), ვანო მაისურაძე (ნავთსადენის გამგე) და ვანო დურგლიშვილი (სამაზრო ერობის წევრი სახერხი ქარხნის გამგე); კომისიას დაევალა აღნიშნულ საკითხზე შუამდგომლობა განახლოს, რომ მოგვეცეს სკოლისათვის 2 და სახალხო რონიდა სკოლის მოწყობილობით, რითაც მიეცეს საშუალება ყველა მუშა-მოსამსახურეს თავიანთ შვილებს ასწავლონ, ვინაიდან ტანისამოსის და ფეხსაცმელის უქონლობით ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას შუა ქალაქში იარონ სადგურიდან სასწავლოთ.

შემდეგ კრება მოითხოვს სასურსათო კომიტეტისგან რომ ყველა ის საგნები, რომლებიც თფილისის მაღაზიებს ეძლევათ მუშა-მოსამსახურეთა დასარიგებლათ, აგრეთვე პროპორციონალურათ ეძლეოდეს მოძრავ რონიდა (ვაგონ)—მაღაზიას, რომელიც თფილისიდან ქარელამდი არის [illegible]; აგრეთვე მოითხოვს, რათა სასურსათო კომიტეტმა მოაწესრიგოს პურის მიწოდება ხაზზე რეგულიარულათ, ვინაიდან ლიახვის უფროსის დეპეშის ძალით გზის ოსტატებს ეკრძალებათ ხაზიდან თფილისში კაცის გამოგზავნა პურისთვის და თუ ვინმე პურისთვის გაიგზავნა,—იმას უნდა ეძლეოდეს როგორც დღიური ჯამაგირი, აგრეთვე სამგზავრო ბილეთის ღირებულება მუშებისაგან.

მომავალ ყრილობაზე დასასწრებლათ კრებამ სასურველ კანდიდატებათ სცნო შემდეგი ამხანაგები: ი. ნავროზაშვილი (გზის ოსტატი) ლ. შაქარაშვილი (არტელის უფროსი) მ. ხიტირია (სადგურის უფროსის თანაშემწე) და ჩ. ტურაშვილი (ვაგონების გამსინჯავი). დაადგინა გაეგზავნოს აღნიშნულ ამხანაგების სია ხაშურის რაიონულ გამგეობას.

ახალი გორელი.

მუშათა შორის

ტყიბული. 20 ოქტომბერს მოხდა ტყიბულის მაღაროების საავადმყოფო კასის წევრთა საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ს. მეხუზლა, მდივნათ ვ. დარსაძე. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

გამგეობის მხრით მოხსენებას აკეთებს პ. კოსტავა, რომელიც აცნობს კრებას კასის შემოსავალ გასავალს, საიდანაც გამოირკვა შემდეგი: დარჩენილია ნაღდათ 1-ლ ნოემბერს 248944 მან. 34 კ. ტყიბ. სადგ. შემნახველ კასაში წიგნაკი № 317 1015 მ ნ. 06 კაპ.

მიცემულია კასის წევრებზე საექიმო დახმარ. 75,000 მან.

302 წევრის ავათმყოფობის გამო 250,998 მან. 50 კაპ.

29 ოჯახის წევრს ავადმყოფობის გამო 26,300 მან.

14 ოჯახის წევრს მშობიარობის 1,400 მან.

15 კასის წევრს გარდაცვალების 30755 მან.

34 ოჯახის წევრს გარდაცვალების 6,500 მან.

ერთდროული დახმარება ერთ კასის წევრს 3000 მ.

საკანცელარიო ხარჯები 23,700 მან.

ჯამაგირები გამგეობის წევრს 4 550 მ

ჯამაგირები მოსამსახურეებს 74,400 მ.

სულ 746,562 მან. 90 კაპ.

შემოსავალი: გადმოტანილია სარიალებელი თანხა 1919 წლიდან 71,778 მ. 40 კაპ.

ტყიბულის სადგ. შემნახველ კასაში 1,015 მან. 6 კაპ.

შემოსულია მუშა მოსამსახურეებიდან 1% 1 ოქტომბრამდი 336,884 მან. 56კ.

შემოსულია წარმოებიდან 100% დამატება 1 ლ ოქტომბრამდის 336884 მან. 88 კაპ.

სულ 746 562 მან. 90 კაპ.

კრებამ ეს ანგარიშები დაამტკიცა და გადავიდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნებზე.

გამგეობაში არჩეულ იქნენ 1) ნიკ გიორგობიანი, 2) სიმ. მარჯანიშვილი, 3) ვლ. ჯანელიძე, 4) იონა ობოლაძე, 5) თეოფ. ქასრაშვილი, 6) ვას. ქაჯაია და 7) ვლ. ჯიხვაშვილი. სარევიზიო კომისიაში: 1) პ. კოსტავა, 2) კალ. გვილესიანი და 3) ლ. ბოჭორიშვილი. კრებამ ძველ სარევიზიო კომისიის გამოუცხადა საყვედური რადგან მათ კასას რევიზია არ გაუკეთა. შემდეგ გაირჩა სხვა წვრილმანი საკითხები და კრება დაიხურა.

„ზეგი“.

პროვინცია

სოფ. ხაშმი. ეს სოფელი გარე კახეთში ერთი თვალსაჩინო სოფელთაგანია თავისი ბაღ-ვენახებით. ბაღ-ვენახები უმთავრესად სარწყავია და, ამიტომაც, სოფელს ყველაზე მეტად სარწყავი არხების გამოყვანა გაუხდა საძნელო საქმეთ: როცა მინდვრის მუშაობა გაცხოველებულია, სწორედ ამ დროს არხების გაწმენდისა და წყლის გამოყვანისათვის უნდა იზრუნონ ხოლმე. ხშირად სოფელი არხის დამთავრებას ვერ ასწრებს, რის გამოც ხმებიან ვენახები და სიმინდი, ხოლო სასმელ წყლის საზიდავად დიდი კაცთან ერთად იძულებულია მისდიოს მამაკაცი და საქონელი. ამ გაჭირვებას სოფელი ახლა უკვე თავს აღწევს.

თუმცა ამ უკანასკნელ ორ წელიწადში სოფელი ძალზე დაზარალდა, მაგრამ, როგორც ამის წინად გაზ. „ერთობა“-ში უკვე აღნიშნული გვქონდა, მან მაინც შესძლო ჰიდრო ელექტრონულ სადგურის აგებაში მონაწილეობის მიღება (წისქვილი ამუშავდა, ელექტრონის გამოსაყვანად, წისქვილის დასამშვრებლად და სახერხი მანქანის დასადგმელად ზეჯითად მუშაობს კ. ვ. [illegible] ამხანაგობის წევრი—რწმუნებული გაბრ. ზაქ. ქვლივიძე); მიმდინარე წელს ს. ხაშმის საზოგადო ყრილობამ გადასწყვიტა წყაროს გამოყვანა და ამისათვის შესაფერი გამგეობაც აირჩია (თავმჯდ. ივ. მაისურაძე, წევრები—აბრ. გოგნიაშვილი, იოს. ხუროშვილი, ინჟ. გ. ქვლივიძე და იაგ. მესტვარიშვილი). გამგეობამ უკვე იყიდა შესაფერი მილები. ამ მილების შესყიდვის დროს შემთხვევით ნახა არხას გამოსაყვანი სხვილი მილებიც, რომლებიც აგრეთვე იყიდა და უკვე სოფელში გაგზავნა. რა თქმა უნდა, ამან დიდი ხარჯი მოითხოვა. თითქმის მილიონამდე გამგეობამ შეიტანა, ხოლო ზედმეტი, დაახლოვებით ორ მილიონამდე, გადაიხადა კავკასპირისენის ამხანაგობამ, რომლის წევრებიც—ივანე და ისიდორე სოფ. ვარათაშვილებს, სპირიდონ ო. ბენდუქიძეს, გაბრ. ზაქ. ქვლივიძისა და რაჟდ. დათეშიძე გამგეობა და სოფელი უგულითადეს მადლობას უძღვნის. ამათ აღმოგვიჩინეს ნამდვილი მამაშვილური მზრუნველობა დღეს, როდესაც თითქმის ყველა მადა გაუმაძღარ სპეკულიაციით არის გატაცებული. ამათის შემწეობით სოფელმა ათეული მილიონებით ღირებული მილები შეიძინა და თუ წყარო და სარწყავი წყალი დროით გამოვიყვანეთ,—ზემოხსენებულ პირთა ამაგს სოფელი არ დაივიწყებს. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში (ძმა ვახნიანსკებთან და ამხ. მილების თაობაზე მოლაპარაკების დროს) დაგვეხმარა ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე ნ. ელიავა. მილების მაჰყიდველი ძმ. ვახნიანსკების ერთმა მონაწილეთაგანმა—ბესარ. გოგიაშვილმა, როცა გაიგო სოფლის საჭიროება და გამგეობის უანგარო მუშაობის მიზანი,—თავის მხრით ამ საქმისთვის გამგეობის თავმჯდომარეს ივ. მაისურაძეს გადასცა 25,000 მან., რისთვისაც იგი უდიდესი მადლობის ღირსია. მილები უკვე გაიგზავნა, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ გასაკეთებელია და დიდი თანხაა საჭირო. ს. ხაშმის თითეულმა კომლმა რომ მხოლოდ ერთის წლის სარჩო გადაიხადოს,—ამ საქმეს კეთილად დააგვირგვინებს. ვისურვოთ, რომ ხაშმელებს ეს დიდებული საქმე დაემთავრებინოს საკეთილდღეოდ. ამისთვის საჭიროა გამგეობას მხარი მისცეს ხალხმაც, რომ მან უფრო მალე შესძლოს ამ საქმის დაბოლოვება.

ხაშმელი ხოხიკა.

რედაქტორი [illegible]

განცხადებანი

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბ. ნ. № 20. (5 იან.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნიო“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე პანიევი
იღებს საშვილო და ქალის სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამ ნოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მქინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დღის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (1 იანვ.)

ქ. შ. ბარ[illegible]
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ. (23—დეკ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფებით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. 7 იანვ.)

ექიმი **მ. ა. შაჰრანი**
სპეციალურად სიფილისი და შარდის [illegible] დები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 28 7 იანვ.)

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ. 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35. (18—დეკ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12—დეკ.

ექიმი
ნ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 23, [illegible]

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკუმოვი
გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 23. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606“ და 914“ შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—6 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ზოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროჟექტორ „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ № 5—9 7 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სისუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნღისკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნახ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 13—დეკ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრონ კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—იანვ.)